

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წელში გაწეული მუშაობის ანგარიში

სოციალური სფერო

2019 წელს, მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახური საქმიანობას ახორციელებდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 დეკემბრის N78 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის 2019 წლის პროგრამის“ მიხედვით, რომლისათვისაც ბიუჯეტში 427 000 ლარი იყო განსაზღვრული.

2019 წლისთვის, ჩვენი მოქალაქეებისათვის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობისა და სოციალური ფონის გაუმჯობესების მიზნით, სოციალური ბიუჯეტის ფარგლებში გასაცემი თანხების განკარგვის წესში გარკვეული ცვლილებები იქნა შეტანილი. კერძოდ:

- ✓ წინა წელთან შედარებით, 2019 წლისთვის 100 ლარით გაიზარდა თოთოეული ბენეფიციარისთვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დასაფარად განსაზღვრული დახმარების ზედა ზღვარი და 500-ის ნაცვლად 600 ლარი გახდა;
- ✓ ცვლილება შეეხო 1000 ლარის ფარგლებში ასანაზღაურებელი სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსებასაც და იგი 300-დან 400 ლარამდე გაიზარდა;
- ✓ წლის განმავლობაში ბაღდათის მუნიციპალიტეტის მოქალაქეებს დახმარებას ვუწევდით ტონზილექტომიის დიაგნოზით ჩასატარებელი სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფარვაში, რომელიც წინა წლებში გამონაკლისების სიაში გვქონდა და არ ფინანსდებოდა;
- ✓ განისაზღვრა კრიტერიუმები, რომელიც ერთჯერადი ფინანსური დახმარების მისაღებად უნდა წარმოადგინოს ბენეფიციარმა;
- ✓ დაავადებათა ჩამონათვალს, რომელთა სამკურნალო მედიკამენტები მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში ერთჯერადად ფინანსდება, დაემატა რამდენიმე დაავადება;
- ✓ სოციალურად დაუცველი 18 წლამდე ასაკის მოზარდები მედიკამენტებით ნებისმიერი დაავადების შემთხვევაში სარგებლობენ.
- ✓ 2019 წელს გაზრდილი დახმარებით ისარგებლეს მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა სამამულო ომის ვეტერანებმა.
- ✓ დახმარება გაეზარდათ აგრეთვე, ჩვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ჩერნობილის ატომური ელ. სადგურის აღდგენით სამუშაოებში მონაწილე პირებს.

აღნიშნული წლის განმავლობაში თითოეული მუხლიდან გაცემული თანხისა და დაკმაყოფილებულ ბენეფიციართა რაოდენობა შემდეგნაირად გადანაწილდა:

პირველი მუხლიდან (სამედიცინო დახმარება) - მედიკამენტების შესაძენად ისარგებლა **428** ბენეფიციარმა, რისთვისაც **29 016** ლარი გაიხარჯა. ხოლო, **550** ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებისათვის სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში გადარიცხულია **166 803** ლარი. (ოქტომბრის ბოლოსათვის პირველ მუხლში განსაზღვრული ფინანსური რესურსი სრულად იქნა ამოწურული და საჭირო გახდა აღნიშნული მუხლის შევსება).

მე-2 მუხლი ითვალისწინებს მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ვეტერანის გარდაცვალების შემთხვევაში, მათი ოჯახისათვის ფინანსური დახმარების გაწევას 250 ლარის ოდენობით, სარიტუალო ხარჯების ანაზღაურების მიზნით. მიმდინარე წელს აღნიშნული დახმარება 3 ოჯახზე გაიცა, შესაბამისად გაცემულია **750** ლარი.

მე-3 მუხლით განსაზღვრულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების დახმარება. დახმარება მიიღო 11 ოჯახმა, გაცემულია **2200** ლარი.

მე-4 მუხლი. მუნიციპალიტეტის უფასო სასადილოში 60 ბენეფიციარის ყოველდღიურ ერთჯერად კვებას და სადღესასწაულო დღეებში მათთვის სასაჩუქრე სურსათის კალათების მომზადებისათვის 2019 წლის განმავლობაში **44754.57** ლარი გაიხარჯა.

მე-5 მუხლი. ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის მიზნით გაცემული თანხის რაოდენობა შემდეგნაირად გადანაწილდა:

- ✓ მეორე შვილის შეძენის გამო მოგვმართა 51-მა ოჯახმა, შესაბამისად, გაიცა **10 200** ლარი.
- ✓ მესამე შვილის შეძენის გამო დაკმაყოფილდა 31 ბენეფიციარი, გაიცა **9 300** ლარი.
- ✓ მეოთხე და შემდეგი შვილის შეძენასთან დაკავშირებით 11 ბენეფიციარზე გაიცა **4 400** ლარი.
- ✓ ტყუპების შეძენის 1 შემთხვევა გვქონდა და შესაბამისად გაცემულია **600** ლარი.

მე-6 მუხლი. ხანძრის შედეგად მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურების მიზნით, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 11 ოჯახს დავეხმარეთ **19 444** ლარით და ობიექტური მიზეზების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ 21 ოჯახს უზრუნველვეყოფთ დროებითი თავშესაფრის/ბინის ქირით, რისთვისაც დღემდე **30 579** ლარია გახარჯული.

მე-7 მუხლი: თანადგომის საჭიროების მქონე ოჯახთა დახმარების მიზნით 2019 წელს გაცემულია **39 573** ლარი. (აღნიშნული მუხლის რესურსი იქნა გამოყენებული ასევე საშემე მერქნის მოსაკრებელის გადახდის მიზნითაც - **5080** ლარის ოდენობით).

მე-8 მუხლი : ვეტერანთა დახმარების ქვეპროგრამით განსაზღვრული თანხა **10 000** ლარი, მთლიანად განაწილდა მუნიციპალიტეტში მცხოვრები 97 ვეტერანის დასახმარებლად.

მე-9 მუხლი: შშმ პირთა დახმარების, სხვადასხვა სამკურნალო-სარეაბილიტაციო მომსახურებისა თუ მათი საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაციის მიზნით განხორციელებული აქტივობების დაფინანსებისათვის **27 677** ლარი დაიხარჯა და აღნიშნულ აქტივებებში დაახლოებით 82-მა შშმ პირმა მიღო მონაწილეობა.

მე-10 მუხლი: ჩერნობილის ატომური ელ. სადგურის აღდგენითი სამუშაოების მონაწილე 12 პირს ერთჯერადად გადაეცა 200 ლარი, რამაც ჯამში **2400** ლარი შეადგინა.

მე-11 მუხლი: მუნიციპალიტეტში მცხოვრები ორი დღეგრძელი (ას წელს გადაცილებული) მოქალაქე დასაჩუქრდა 400-400 ლარით (ჯამში **800** ლარი)

მე-12 მუხლი: დიალიზის სახელმწიფო პროგრამით ჩვენი მუნიციპალიტეტიდან 14 ბენეფიციარი სარგებლობდა და მათი ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურების მიზნით ამ გაიცა **27 880** ლარი.

13 მუხლი : სამწუხაროდ, 2019 წელს, წინა წლებთან შედარებით, გაზრდილი იყო 18 წლამდე ასაკის ობოლი ბავშვების რიცხვი. მათი დახმარების მიზნით 54 ობოლ ბავშვზე გაიცა **5400** ლარი.

მე-14 მუხლი მარტოხელა მშობლების მხარდასაჭერი ქვეპროგრამა და მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 10 მარტოხელა დედას დავეხმარეთ (ჯამში **2000** ლარით).

მე-15 მუხლით განსაზღვრული ფინანსური რესურსიდან 38 მრავალშვილიან ოჯახს გაეწია დახმარება (თითოეულ ბავშვზე 50 ლარით), რამაც **8 450** ლარი შეადგინა.

მე-16 მუხლიდან მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 5 დევნილ ოჯახს, რომელთაც გარდაეცვალათ ოჯახის წევრი, გაეწიათ დახმარება სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებით მიზნით (ჯამში **1300** ლარის ოდენობით).

საერთო ჯამში, 2019 წელს სოციალური პროგრამებით მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა 1712 ბენეფიციარმა ისარგებლა და გახარჯული იქნა **448 607.54** ლარი.

გარდა სოციალური პროგრამით განსაზღვრული დახმარებებისა, 2019 წელს მოგვეცა შესაძლებლობა, სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობის ნაწილს საშემე მერქნითაც დავხმარებოდით. 210 მ³ საშემე მერქანი სატყეო სააგენტოსაგან გადმოგვეცა, ხოლო 82 მ³ საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობისას მოიჭრა. აღნიშნული რესურსი მცირე ზომის საშემე მორებად დამუშავდა მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების მიერ და იგი განაწილდა 146 შეჭირვებულ ოჯახზე.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის საბოლოოდ დაზუსტებული მოცულობა 14951,3 ათასი ლარით განისაზღვრა რაც 2018 წლის ბიუჯეტის მოცულობასთან შედარებით 2049,1 ათასი ლარით მეტია. მიმდინარე წელს შეიცვალა მუნიციპალიტეტების დაფინანსების სისტემა, გაუქმდა გათანაბრებითი ტრანსფერი რომელიც ჩაანაცვლა დამატებითი ღირებულების გადასახადმა. აღნიშნულმა საშუალებამ მოგვეცა მიმდინარე წლის ბიუჯეტი გაზრდილი პარამეტრებით დაგვეგვემა. დაზუსტებული ცვლილებით გადასახადების სახით მისაღები შემოსავალი საბოლოოდ 5811,1 ათასი ლარით განისაზღვრა რაც მთლიანი ბიუჯეტის 38,8%-ს შეადგენს.

გრანტები

მისაღები გრანტების საბოლოო მოცულობა 6384,9 ათასი ლარით განისაზღვრა. გაიზარდა განსახორციელებელი პროექტების რაოდენობა. ცენტრალური ბიუჯეტიდან მისაღები გრანტები განკუთვნილია შემდეგი პროექტებისთვის:

- მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 128,0 ათასი ლარი თავდაცვისუნარიანობის და საზ. ჯანდაცვის ხელშეწყობისთვის;
- საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირებისა და სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის - 533,8 ათასი ლარი;
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამა - 346,0 ათასი ლარი;
- მაღალმთიანი დასახლების განვითარების პროგრამა - 469,9 ათასი ლარი;
- ელ. ენერჯის გარეშე დარჩენილი ოჯახებისთვის მზის პანელების შესაძენად - 143,0 ათასი ლარი;
- სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია - 400,0 ათასი ლარი;
- სოფლის ამბულატორიების რეაბილიტაცია - 199,2 ათასი ლარი;
- სტიქიის პრევენციის ღონისძიებებისთვის - 127,8 ათასი ლარი;
- რგფ - 4037,3 ათასი ლარი;

სხვა შემოსავლები და არაფინანსური აქტივების კლება

სხვა შემოსავლების და მუნიციპალური ქონების პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავალი დაიგეგმა 1133,1 ათასი ლარით (სხვა შემოსავლები - 785,0 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლება -348,1) რომლის შესრულებამ შეადგინა 910,7 ათასი ლარი (სხვა შემოსავლები - 751,4 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების კლება - 159,3 ათასი ლარი).

ნაშთები

მიმდინარე წელს აქტიურად დაიწყო წინა წლებიდან გადმოყოლილი კაპიტალური პროექტების ნაშთების ათვისება (1500,0 ათასი ლარი) რომლებსაც მთავრობის განკარგულებების საფუძველზე შეეცვალთ მიზნობრიობა და განკუთვნილია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის.

ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობა

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განსაზღვრავს მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებებს. კანონის თანახმად, მუნიციპალიტეტები დადგენილი წესით მართავენ ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივ რესურსებს; უზრუნველყოფენ სივრცით და ტერიტორიულ მოწყობას; ავითარებენ მუნიციპალურ ინფრასტრუქტურას (პარკები, სკვერები, გზები, განათების სისტემები და ა.შ.); მართავენ მუნიციპალურ ნარჩენებს; უზრუნველყოფენ წყალმომარაგებასა და წყალარინებას; უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნასა და ფუნქციონირებას; ორგანიზებას უწევენ ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობას; ავითარებენ ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, სათანადო ინფრასტრუქტურას ბავშვებისა და მოხუცებისათვის; ასევე, ხელს უწყობენ დასაქმებას, სოფლის მეურნეობას, ტურიზმს; უზრუნველყოფენ სოციალურ დახმარებას და ჯანდაცვას, ახალგაზრდულ პოლიტიკას, გენდერულ თანასწორობას, გარემოს დაცვას, საჯარო განათლებას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვას, ინოვაციურ განვითარებას და ა.შ. მოგეხსენებათ ქვეყანას გააჩნია 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამა, რომელსაც თავის მხრივ ეფუძნება ბაღდათის მუნიციპალიტეტის განვითარების 2018-2021 წლების განვითარების სამოქმედო გეგმა. მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებულ გეგმაში გათვალისწინებულია ის ღონისძიებები, რომლებიც განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ბაღდათის უახლოესი მომავლის განვითარების მიზნებისთვის და ისინი ასევე წარმოადგენს საფუძველს განვითარების საშუალოვადიანი მიზნების მისაღწევად. ზემოთ ჩამოთვლილი უფლებამოსილებებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა არსებული ინფრასტრუქტურის განვითარება და ახლის შექმნა. ინფრასტრუქტურის მდგომარეობა ჯერ კიდევ არაა დამაკმაყოფილებელია, მიუხედავად იმისა რომ რეაბილიტაციის სამუშაოები ყოველწლიურად მიმდინარეობს. აუცილებელია სარეაბილიტაციო სამუშაოების ეფექტიანად ჩატარება. სოფლების ადმინისტრაციულ ცენტრებში მისასვლელი გზები მოწესრიგებულია, თუმცა გამოწვევად რჩება შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციის საკითხი. ბაღდათის მუნიციპალიტეტს არ გააჩნია იმ მოცულობის ადგილობრივი შემოსავლები, რომ მხოლოდ საკუთარი რესურსებით მოახერხოს გამოვლენილი საჭიროების დაკმაყოფილება. სწორედ ამიტომ ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი, რომელიც ქვეყნის რეგიონული განვითარების პროგრამის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ყოველწლიურად ფონდიდან გაწეული დაფინანსება ხასიათდება მზარდი დინამიკით.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის #23 დადგენილებით “საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ განსაზღვრული წესით მუნიციპალიტეტს 2019 წელს 8 ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად გამოეყო 4 037 288 ლარი. აქედან ექვსი საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ერთი არსებული შენობის სახურავის რეაბილიტაცია და ერთი ახალი შენობის მშენებლობა (ცხრილი #1).

ცხრილი #1

N	პროექტის დასახელება	სახელშეკრულებო ღირებულება	ფაქტობრივი ღირებულება	რაოდენობრივი მაჩვენებელი (გრძივი მეტრი ან შენობების რაოდენობა)	მიმწოდებელი	შენიშვნა
	რგპფ					
1	სოფ. პირველ ობჩაში მთისძირისკენ	437777	423702.85	1300	ამხანაგობა „ჯაგი-2019“	

	მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია					
2	ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. დიმში მამუკაშვილების შესახვევიდან ეკლესიამდე გზის მონაკვეთის რეაბილიტაციის სამუშაოები	349941	336892.75	1100	ამხანაგობა „იმერეთი-2018"	
3	სოფ. ფერსათისა და სოფ. შუბანის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რკ/ბეტონის საფარის მოწყობა	1626000	1595127.92	3500	შ.პ.ს. „ბეტკო"	
4	სოფ. წითელხევის შემოვლითი საავტომობილო გზის ბეტონის საფარის მოწყობა	363 000	354733.55	1100	შ.პ.ს. „გი-ან 2011"	
5	სოფ. წითელხევში მეფარიშვილების უბნიდან თეთრი ეკლესიისკენ მიმავალი საავტომობილო გზის ბეტონის საფარის მოწყობა	340 000	327808.57	1025	შ.პ.ს. „გი-ან 2011"	
6	სოფ. დიმი-ჯ. ღვინჯილიას სახელობის საჯარო სკოლა-სოფ. პირველი ობჩის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის ბეტონის საფარის მოწყობა	678582	666437.78	2121	შ.პ.ს. „ჯეო როუდ ინვესტი"	
7	რევაზ ლაღიძის სახელობის ბაღდათის კულტურის ცენტრის შენობის სახურავის რეაბილიტაცია.	125000	113076.9	1	შ.პ.ს. „ლამოდერნა"	
8	სოფ. დიმის N2 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის მშენებლობა	562000		1	შ.პ.ს. „ბანი"	2019-2020 წლების გარდამავალი პროექტი

2019 წელს რგპვ-დან გამოყოფილი თანხით განხორციელდა 10146 გრძ.მ. გზის რეაბილიტაცია

სოფ. პირველ ობჩაში მთისძირისკენ მისასვლელი ს/გზის რეაბილიტაცია 1300 მ-ზე განხორციელდა ორ ფენიანი ასფალტო/ბეტონის საფარით. სავალი ნაწილის სიგანე საშუალოდ შეადგენს 4-4,5 მ-ს. გზების გასწვრივ მოწყობილი ნიაღვარმიმღები არხები და სხვა საინჟინრო ნაგებობები.

დანარჩენი ხუთი გზის რეაბილიტაცია მოხდა 4,5-5 მეტრიანი სიგანის 16 მმ-იანი სისქის რკ/ბეტონის საფარით.

სამუშაოების მოწოდებაზე სხვადასხვა ორგანიზაციასთან გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ რვა ხელშეკრულება. ორი საგზაო პროექტის განხორციელება დაიწყო 2017 წელს და დასრულდა 2019 წელს.

გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება შეადგენდა 4 037 288 ლარს. საკასო შესრულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 96,96 %. პროექტების მიმდინარეობისას ხდებოდა სხვადასხვა სახის აუცილებელი კორექტირებები, ამჟამად რგპვ-დან გასულ წელს დაფინანსებული ყველა პროექტი დასრულებულია, გარდა გარდამავალი სოფ. დიშის N2 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის მშენებლობის პროექტისა, რომლის დასრულების ვადა არის 2020 წლის 17 ოქტომბერი.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის #13 განკარგულების „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ შესაბამისად საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით ბაღდათის მუნიციპალიტეტში 2019 წელს 4 სკოლაში დაფინანსდა 8 პროექტი 410 000 ლარით (ცხრილი 2).

ცხრილი #2

N	პროექტის დასახელება	სახელშეკრულებო ღირებულება	ფაქტობრივი ღირებულება	მიმწოდებელი	შენიშვნა
	სკოლების რეაბილიტაცია				
1	სოფ. ფერსათის #2 საჯარო სკოლის შენობის გათბობის სისტემის მოწყობა	144186.85	122508.52	შ.პ.ს. „სვირი+“	
2	სოფ. ფერსათის #2 საჯარო სკოლის შენობის მე-2 კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია	79321.4	66711.36	შ.პ.ს. „ბაჩი“	
3	სოფ. როკითის საჯარო სკოლის საპირფარეშოს შენობის რეაბილიტაცია	10828.6	10310.15	შ.პ.ს. „ბაჩი“	
4	ქ. ბაღდათის #1 საჯარო სკოლის საპირფარეშოს რეაბილიტაცია	51602.01	46451	შ.პ.ს. „ინტურისტმ შენკომპანი“	

5	სოფ.დიმის #1 საჯარო სკოლის სპორტ. დარბაზის რეაბილიტაცია;	52797.99	46953.63	შ.პ.ს. „ინტურისტმ შენკომპანი“	
6	სოფ. როკითის საჯარო სკოლაში მისასვლელი ბილიკის მოწყობა	13315	13281.54	შ.პ.ს. „გი-ან 2011“	
7	ქ. ბაღდათის #1 საჯარო სკოლაში მისასვლელი ბილიკის მოწყობა	21497	21431.23	შ.პ.ს. „გი-ან 2011“	
8	სოფ. დიმის #1 საჯარო სკოლაში მისასვლელი ბილიკის მოწყობა	5186	5185.95	შ.პ.ს. „გი-ან 2011“	

გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება შეადგენდა 385 936 ლარს. დარჩენილი ეკონომიის ნაწილით მომზადდა 2020 წელს განსახორციელებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

სტიქიური მოვლენების პრევენციული ღონისძიებებისათვის გამოყოფილი თანხით ქ. ბაღდათში მდ. ხანისწყალზე ჭავჭავაძის ქუჩის გასწვრივ მოეწყო ნაპირსამაგრი (ცხრილი #3).

ცხრილი #3

N	პროექტის დასახელება	სახელშეკრულებო ღირებულება	ფაქტობრივი ღირებულება	მიმწოდებელი	შენიშვნა
	სტიქიის პრევენცია				
1	ქ.ბაღდათში ი.ჭავჭავაძის ქუჩის გასწვრივ მდ. ხანისწყალზე ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები.	127777	126583.34	შ.პ.ს. „ბაღდათის ავტოგზა“	

მაღალმთიან სოფელ ხანში მოეწყო 3100 გრძ.მ. რკ/ბეტონის საგზაო საფარი (ცხრილი #4)

ცხრილი #4

N	პროექტის დასახელება	სახელშეკრულებო ღირებულება	ფაქტობრივი ღირებულება	რაოდენობრივი მაჩვენებელი (გრძივი მეტრი ან შენობების რაოდენობა)	მიმწოდებელი	შენიშვნა
	მთის ფონდი					
1	ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. ხანში შიდა სასოფლო გზის მონაკვეთის ბეტონის საფარის	469870	455815.46	3100	ამხანაგობა „ფარაონი და კომპანია“	

მოწყობის სამუშაოები.					
-------------------------	--	--	--	--	--

„ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 თებერვლის #120 დადგენილების შესაბამისად, ბაღდათის მუნიციპალიტეტის 5 სოფელში 2019 წელს დაფინანსდა საექიმო ამბულატორიებისათვის შენობების რეაბილიტაცია (ცხრილი #5).

ცხრილი #5

N	პროექტის დასახელება	სახელშეკრულებო ღირებულება	ფაქტობრივი ღირებულება	მიმწოდებელი	შენიშვნა
	ამბულატორიების შენობების რეაბილიტაცია				
1	სოფელ ვარციხის საექიმო ამბულატორიის რეაბილიტაციის სამუშაოები	43538,64	37208.07	შ.პ.ს. „EUROBUILD XXI“	
2	სოფელ როხის საექიმო ამბულატორიის რეაბილიტაციის სამუშაოები	32260,45	29482.64	შ.პ.ს. „EUROBUILD XXI“	
3	სოფელ ხანის საექიმო ამბულატორიების რეაბილიტაციის სამუშაოები	23511,24	19576.22	შ.პ.ს. „EUROBUILD XXI“	
4	სოფელ მეორე ოზის საექიმო ამბულატორიის რეაბილიტაციის სამუშაოები	35268.34	26102.09	შ.პ.ს. „EUROBUILD XXI“	
5	სოფელ ნერგეთის საექიმო ამბულატორიის რეაბილიტაციის სამუშაოები	60649.47	48494.7	შ.პ.ს. „EUROBUILD XXI“	

2019 წელს განხორციელდა 40 წვრილი ინფრასტრუქტურული პროექტები. აღნიშნულის დაფინანსების წყარო იყო სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 346 000 ლარი და 63 080 ლარის ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება . საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის #654 დადგენილების „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების

დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად მოსახლეობამ შეარჩია პრიორიტეტები, რომელთა ნუსხაც დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ (ცხრილი #6).

ცხრილი #6

N	სოფელი	პროექტის დასახელება	პროექტის ღირებულება
1	წითელხევი	გარე განათების მოწყობა	1200
2	ზეგნის თემი-სოფელი ჟვედა ზეგანი	შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია	9985
3	ხანის თემი სოფელი კაკასხიდი	სასმელი წყლის სისტემის სათავის მოწყობა	2880
4	როხი	სოფლის ცენტრში კულტურის ობიექტისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა	30000
5	ნერგეთის თემი სოფელი წყალთაშუა	ღვარსადენის მოწყობა და შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია	10405
6	დიმი	გარე განათების მოწყობა	27420
7	დიმის თემი, სოფელი საიმედო	სანიაღვრე არხების მოწყობა რკინა-ბეტონით	11035
8	ვარციხე	შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია	14580
9	ვარციხე	ახალგაზრდების თავშეყრის ადგილას სკვერის მოწყობა	6010
10	ზეგნის თემი-სოფელი ჟვედა	გარე განათების მოწყობა	4500
11	ზეგნის თემი-სოფელი ზედა	მგზავრთა მოსაცდელელების მოწყობა	5100
12	ზეგნის თემი-სოფელი ზედა	შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია	5810
13	ზეგნის თემი-სოფელი წიფა	გარე განათების მოწყობა	4900
14	ზეგნის თემი-სოფელი წიფა	შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია	6195
15	ზეგნის თემი-სოფელი ნებიერეთი	შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია	10430
16	საკრაულა	სასმელი წყლის სისტემის მოწყობა	6080
17	საკრაულა	შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია	10205
18	საკრაულა	ხიდბოგირის მოწყობა	450
19	ფერსათი	გარე განათების მოწყობა	17980

20	ფერსათი	შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია	5010
21	ფერსათის თემი სოფელი შუბანი	შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია	7115
22	ფერსათის თემი სოფელი შუბანი	გარე განათების მოწყობა	7090
23	წითელხევი	სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა	8300
24	წითელხევი	შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია	13630
25	მეორე ობჩა	გარე განათების მოწყობა	21520
26	მეორე ობჩა	ბიბლიოთეკის ოთახის რეაბილიტაცია	300
27	პირველი ობჩა	გარე განათების მოწყობა	23030
28	პირველი ობჩა	სასაფლაოს ღობის რეაბილიტაცია	2800
29	პირველი ობჩა	„ნასახლის“ სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	2160
30	დიდველა	სასაფლაოს ღობის რეაბილიტაცია	16310
31	როკითი	გარე განათების მოწყობა	17320
32	ზედა დიმი	გარე განათების მოწყობა	20625
33	ნერგეთი	შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია	20600
34	ნერგეთის თემი სოფელი დაფენილი	გარე განათების მოწყობა	3220
35	ნერგეთის თემი სოფელი დაფენილი	შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია	7614
36	ნერგეთის თემი სოფელი დაფენილი	ხეზე დამცავი ღობის მოწყობა	626
37	ნერგეთის თემი სოფელი ალისმერეთი	სანიაღვრე სისტემის მოწყობა და შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია	10000
38	ნერგეთის თემი სოფელი წაბლარასხევი	შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია	10510
39	ხანი	შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია	18975
40	ხანის თემი სოფელი კაკასხიდი	შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია	7120

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი თანხით დაფინანსდა 11 პროექტი, რომლებიც ამჟამად დასრულებულია (დანართი #7).

დანართი #7

N	პროექტის დასახელება	სახელშეკრულებო ღირებულება	ფაქტობრივი ღირებულება	მიმწოდებელი	შენიშვნა
	სტიქიის ლიკვიდაცია				
1	სოფელ მეორე ობჩაში საჯარო სკოლასთან მისასვლელ გზაზე არსებული	1187,27	1152.69	შ.პ.ს. „ჯეო მშენებელი“	

	დაზიანებული მილხიდის რკ/ბეტონის სათავისების მოწყობა				
2	სოფ. მეორე ობჩაში თხელიძეები-ჟორჟოლიანების უბანში ახალი მილხიდის მოწყობა	18545,67	18005.5	შ.პ.ს. „ჯეო მშენებელი“	
3	სოფ. მეორე ობჩაში მარუაშვილების უბანში დაზიანებული საუბნო გზის რეაბილიტაცია	22862,56	22196.68	შ.პ.ს. „ჯეო მშენებელი“	
4	სოფ. დიმში ვაშაკიძეების უბანში დაზიანებული საუბნო გზის რეაბილიტაცია	22345,44	21694.6	შ.პ.ს. „ჯეო მშენებელი“	
5	სოფ. წაბლარასხევში ოქროჭელიძეების საცხოვრებელ სახლთან დამეწყრილ მონაკვეთზე საყრდენი კედლის მოწყობა	8628,71	8377.38	შ.პ.ს. „ლიზი“	
6	სოფ. დაფენილში მოქალაქე გულნარა მახარაძის საცხოვრებელ სახლთან დამეწყრილ მონაკვეთზე საყრდენი კედლის მოწყობა	25143,2	24477.16	შ.პ.ს. „ლიზი“	
7	სოფ. დიმში მინაძეების უბანში მოქალაქე ზურაბ გუმბერიძის საცხოვრებელ სახლთან დამეწყრილ მონაკვეთზე საყრდენი კედლის მოწყობა	12857,3	12482.82	შ.პ.ს. „ლიზი“	
8	სოფ. ნერგეთში მოქალაქე ლუიზა ინაკაძის საცხოვრებელ სახლთან დამეწყრილ მონაკვეთზე საყრდენი კედლის მოწყობა	9243.24	8974.02	შ.პ.ს. „ლიზი“	
9	სოფ. პირველ ობჩაში მცხოვრებ მოქალაქე გრუნია რუხაძის დამეწყრილ საკარმიდამო მონაკვეთში საყრდენი კედლის მოწყობა	7675,46	7669.35	შ.პ.ს. „ბაღდათის ავტოგზა“	
10	სოფ. პირველ ობჩაში მცხოვრებ მოქალაქე რევაზ კამლაძის საცხოვრებელ სახლთან მისასვლელი დამეწყრილი საუბნო გზის აღდგენა და საყრდენი კედლის მოწყობა	15399,41	15396.21	შ.პ.ს. „ბაღდათის ავტოგზა“	
11	სოფ. პირველ ობჩაში გუმბერიძეების უბანში მოქალაქე ზურაბ გიგაშვილის საცხოვრებელ სახლთან	46701,45	46700.67	შ.პ.ს. „ბაღდათის ავტოგზა“	

დამეწერილ მონაკვეთზე საყრდენი კედლის მოწყობა				
---	--	--	--	--

საქართველოს მთავრობის სხვადასხვა განკარგულებებით გასულ წლებში გამოყოფილი თანხებიდან აუთვისებელი ნაშთების და ადგილობრივი ბიუჯეტის ასიგნებების გამოყენებით 2019 წელს განხორციელდა 13 ინფრასტრუქტურული პროექტი (ცხრილი #8).

ცხრილი #8

N	პროექტის დასახელება	სახელშეკრულებო ღირებულება	ფაქტობრივი ღირებულება	მიმწოდებელი	შენიშვნა
	ადგილობრივი ბიუჯეტი				
1	ქ. ბაღდათში სათავე ნაგებობასთან მდ. ხანისწყლის სანაპიროს გასწვრივ ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები	77793.16	77791.74	შ.პ.ს. „საგზაო 333“	17
2	ქ. ბაღდათში წერეთლის ქუჩაზე მრავალბინიანი სახლის გასწვრივ ლითონის ცხაურიანი რკ/ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა	12189.33	12187.3	შ.პ.ს. „საგზაო 333“	18
3	სოფ. წაბლარასხევში წმ. გიორგის სახელობის ტაძრისკენ მიმავალი საავტომობილო გზის ბეტონის საფარის მოწყობა	63441	62910.49	შ.პ.ს. „ჯეო მშენებელი“	19
4	ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. დიმში ნატრიაშვილები ს უბანში რკ. ბეტონის სანიაღვრე არხის, რკ. ბეტონის	20851	19821.99	შ.პ.ს. „გამა+“	20

	ცხაურიანი არხის, მოწყობის სამუშაოები				
5	სოფელ დიმში წითაძეების უბანში გზის საყრდენი კედელის მოწყობის სამუშაოები	8037	7802.67	შ.პ.ს. „გამა+“	21
6	სოფელ დიმის ცენტრში საუბნო გზის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები ღირებულებით	3953	3837.71	შ.პ.ს. „გამა+“	22
7	ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. ნერგეთში რობაქიძეების საუბნო გზაზე გვერდულის გამაგრების სამუშაოები	15159	13892.99	შ.პ.ს. „გამა+“	23
8	ქ. ბაღდათში პოლიციის სამმართველოს ეზოში არსებული ბეტონის ღია სანიაღვრე არხის ძირის რეაბილიტაციის სამუშაოები	577	560.65	შ.პ.ს. „გამა+“	24
9	ქ.ბაღდათში ჯავახიშვილის ქუჩაზე მოქალაქე ინგა ჩიგოგას საცხოვრებელ სახლთან არსებულ ფერდსამაგრ კედელსა და ფერდობს შორის არსებული სიცარიელის ხრეშოვანი მასალით	2136	2073.32	შ.პ.ს. „გამა+“	25

	შევსების სამუშაოები				
10	სოფელ როხის ცენტრში რკ/ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები	24252	24247.78	შ.პ.ს. „გამა+“	26
11	სოფ. წიფაში არსებულ 1000მმ მილზე 1 გრძ/მ მილის დამატება და სათავისების მოწყობა ორივე მხარეს	2474.59	2357.04	შ.პ.ს. „ბაღდათის ავტოგზა“	27
12	ქ.ბაღდათში ფურცელადის ქუჩაზე მოქალაქე ფერიდე ფურცელადის საკარმიდამოს გასწვრივ სანიაღვრე არხის მოწყობა	2412.18	2340.33	შ.პ.ს. „ბაღდათის ავტოგზა“	28
13	სოფ. წიფაში გზის ორმოული შეკეთება	37696.22	14587.18	შ.პ.ს. „ბაღდათის ავტოგზა“	29

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2017 წლის 8 სექტემბრის #135 ხელშეკრულების საფუძველზე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა განახორციელა შ.პ.ს. „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფმა“. ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებით მომსახურება განხორციელდა 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. საზედამხედველო მომსახურების ღირებულება შეადგენდა ყოველ საზედამხედველოდ გადაცემულ ობიექტზე, დადასტურებული ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულების 5 %-ს. პროექტების მიმდინარეობაზე დაწესებული კონტროლის მიუხედავად არსებობდა მიმწოდებლების მხრიდან სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტები, რის გამოც შ.პ.ს. „ბეტკოს“, შ.პ.ს. „ჯეო როუდ ინვესტს“, შ.პ.ს. „ინტურისტმშენკომპანის“, ამხანაგობა „ფარაონი და კომპანიას“, შ.პ.ს. „EUROBUILD XXI“-ს დაერიცხათ 50 242 ლარის ჯარიმა.

2020 წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტში რკპვ-ს დაფინანსებით განსახორციელებელ 12 ინფრასტრუქტურული პროექტზე გაფორმებულია 5 328 705 ლარის ჯამური ღირებულების ხელშეკრულებები (ცხრილი #9).

ცხრილი #9

N	პროექტის დასახელება	სახელშეკრულებო ღირებულება	რაოდენობრი ვი მაჩვენებელი (გრძივი მეტრი ან	მიმწოდებელ ი	შენიშვნა
---	------------------------	------------------------------	--	-----------------	----------

			შენიშვნის რაოდენობა)		
	რგპვ 2020				
1	ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. დიმის #2 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის მშენებლობა	369 716,00	1	შ.პ.ს. „ბა-ნი“	2019-2020 წლების გარდამავალი პროექტი
2	სოფ. წითელხევში მეფარიშვილები ს უბნიდან თეთრი ეკლესიისკენ მიმავალი საავტომობილო გზის რკ/ბეტონის საფარის მოწყობა	827 849,00	2 248	შ.პ.ს. "ჯეო როუდ ინვესტი"	
3	სოფ. დიმი-ჯ. ღვინჯილიას სახელობის საჯარო სკოლა-სოფ. პირველი ობჩის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რკ/ბეტონის საფარის მოწყობა;	74 999,00	240	შ.პ.ს. „ლომი“	
4	სოფ. როხში ე. წ. შემოვლითი საავტომობილო გზის რკ/ბეტონის საფარის მოწყობა;	735 675,00	1 838	შ.პ.ს. "ჯეო როუდ ინვესტი"	
5	ქ. ბაღდათში ქუჩების სავალი ნაწილის რკ/ბეტონის საფარის მოწყობა (შანიძის და ენდელაძის ქუჩა)	500 000,00	1 387	შ.პ.ს. „გი-ან 2011“	

6	სოფ. ფერსათისა და სოფ. შუბანის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რკ/ბეტონის საფარის მოწყობა	693 000,00	1 710	შ.პ.ს. „გი-ან 2011“	
7	ქ.ბაღდათში ქუჩების (შ.რუსთაველის ქუჩის შესახვევები, ი.ჭავჭავაძის) სავალი ნაწილის რკ/ბეტონის საფარის მოწყობა	350 000,00	1 028	შ.პ.ს. „გი-ან 2011“	
8	ქ.ბაღდათში ჯავახიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია	143 555,00	419	შ.პ.ს. „იმედი“	
9	ქ.ბაღდათში წმ. მარიამის ქუჩის რეაბილიტაცია	124 724,00	464	შ.პ.ს. „ლომი“	
10	ქ.ბაღდათში დადიანის ქუჩის რეაბილიტაცია	269 000,00	784	შ.პ.ს. „გი-ან 2011“	
11	სოფ. წითელხევის შემოვლითი გზის რკ/ბეტონის საფარის მოწყობა	1 276 188,00	3 948	ი/მ მურმანი ტოგონიძე	პროექტი არის გარდამავალი. მ/წელს განსახორციელებელი სამუშაოების ღირებულებაა 700 000 ლარი.
12	ქ. ბაღდათში აღმაშენებლის ქუჩის რეაბილიტაცია	849 796,00	1 818	შ.პ.ს. „ბორი 85“	პროექტი არის გარდამავალი. მ/წელს განსახორციელებელი სამუშაოების ღირებულებაა 540 187 ლარი.

მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი 5 447 543 ლარიდან ელ. ტენდერების შედეგად დარჩა 118 838 ლარის ეკონომია.

2020 წლისთვის კვლავ განხორციელდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დაგეგმილი ღონისძიებები, ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი 346 000 ლარით და ადგილობრივი ბიუჯეტის 70 250 ლარის თანადაფინანსებით განისაზღვრა 36 პრიორიტეტული პროექტი.

მუნიციპალიტეტს ასევე გამოეყო თანხა საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისათვის.

ორი პროექტი მიმდინარეობს ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით (ცხრილი #10).

ცხრილი #10

N	პროექტის დასახელება	სახელშეკრულებო ღირებულება	მიმწოდებელი	შენიშვნა
1	სოფ. საკრაულას ადმინისტრაციულ შენობაში ამბულატორიის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა	72 964,25	შ.პ.ს. „ელეონ ტური“	
2	კოსტავას ქ. N2 საერთო საცხოვრებელი ბინის გარე კედლების შელესვის სამუშაოები	93 093,00	შ.პ.ს. „ხელმარჯვეოსტატები“	

ეტაპობრივად ხორციელდება სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

ეკონომიკის სამსახური

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურმა დებულებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულების მიზნით 2019 წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტის ეკონომიკური დაგეგმარების პროგრამების შემუშავების და მათ განხორციელების, მუნიციპალური ქონების აღრიცხვა-რეგისტრაციის, მართვა-განკარგვისა და ეფექტური გამოყენების, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით განახორციელა შემდეგი ტიპის სამუშაოები და აქტივობები:

მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონების ეფექტურად გამოყენების, აგრეთვე ქონების განკარგვის ნაწილში ბიუჯეტით გათვალისწინებული გეგმის შესრულების მიზნით 2019 წლის განმავლობაში მომზადდა საჭირო დოკუმენტაცია და გამოცხადდა 31 ელექტრონული აუქციონი. ჯამურად მუნიციპალური ქონების განკარგვის შედეგად 2019 წელს მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 121 214.86 (ას ოცდაერთი ათას ორას თოთხმეტი ლარი და ოთხმოცდაექვსი თეთრი) ლარი. მათ შორის, პრივატიზებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 92 288.07 (ოთხმოცდათორმეტი ათას ორას ოთხმოცდარვა) ლარი. მიმდინარე წლის განმავლობაში საპრივატიზებოდ ელექტრონულ აუქციონზე ატვირთული იქნა შემდეგი ქონება:

- სოფელ როხშო 30.04.35.517 საკადასტრო კოდზე მდებარე 133.0 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;
- ქ. ბაღდათში, კოსტავას ქ. №30-ში 30.11.33.543 საკადასტრო კოდზე მდებარე შენობის (№02/1 63.0 კვ.მ.) პრივატიზება დემონტაჟის ფორმით;
- სოფელ ვარციხეში 30.03.36.141 საკადასტრო კოდზე მდებარე 4079.0 კვ.მ. სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;

- სოფელ როკითში 30.06.38.255 საკადასტრო კოდზე მდებარე 5475.0 კვ.მ. სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;
- ქ. ბაღდათში, კახიანის ქ. №84-ში 30.11.32.553 საკადასტრო კოდზე მდებარე ყოფილი საავადმყოფოს შენობის (პოლიკლინიკის შენობის გარეშე) დემოტაჟის ფორმით პრივატიზება;
- სოფელ როკითში 30.06.38.273 საკადასტრო კოდზე მდებარე 565.0 კვ.მ. სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;
- სოფელ დიშში 30.07.41.389 საკადასტრო კოდზე მდებარე 1280.0 კვ.მ. სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;
- სოფელ დიშში 30.07.31.458 საკადასტრო კოდზე მდებარე 1482.0 კვ.მ. სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;
- სოფელ II ოზჩაში 30.09.49.202 საკადასტრო კოდზე მდებარე 2360.0 კვ.მ. სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;
- სოფელ ვარციხეში „ჭინჭარაული“ 30.01.38.030 საკადასტრო კოდზე მდებარე 29 645.0 კვ.მ. სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;
- სოფელ ვარციხეში „აფხანაური“ 30.03.36.144 საკადასტრო კოდზე მდებარე 1563.0 კვ.მ. სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;
- ქ. ბაღდათში, რუსთაველის ქ. №24-ში 30.11.33.217 საკადასტრო კოდზე მდებარე 182.0 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული 289.71 კვ.მ. შენობა-ნაგებობით (ყოფილი დაცვის პოლიციის შენობა);
- სოფელ დიშში 30.07.39.017 საკადასტრო კოდზე მდებარე 517.0 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (დიშის სასადილო) №1 – 363.0 კვ.მ. და №2 – 4.6 კვ.მ.;
- სოფელ როხში 30.04.36.543 საკადასტრო კოდზე მდებარე 54.0 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;
- სოფელ ზედა დიშში 30.10.31.255 საკადასტრო კოდზე მდებარე 1 147.0 კვ.მ. სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;
- ქ. ბაღდათში, კახიანის ქ. №84-ში 30.11.32.568 საკადასტრო კოდზე მდებარე 3656.0 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 1046.36 კვ.მ. შენობა-ნაგებობა.

საპრივატიზებოდ ატვირთული ზემოაღნიშნული ქონებიდან პრივატიზებული იქნა შემდეგი:

- ქ. ბაღდათში, კახიანის ქ. №84-ში 30.11.32.553 საკადასტრო კოდზე მდებარე ყოფილი საავადმყოფოს შენობის (პოლიკლინიკის შენობის გარეშე) დემოტაჟის ფორმით პრივატიზება საპრივატიზებო ღირებულებით 83 600 (ოთხმოცდასამი ათას ექვსასი) ლარი;
- სოფელ დიშში 30.07.31.458 საკადასტრო კოდზე მდებარე 1482.0 კვ.მ. სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საპრივატიზებო ღირებულებით 1 305.6 (ათას სამას ხუთი ლარი და სამოცი თეთრი) ლარი;
- სოფელ როკითში 30.06.38.273 საკადასტრო კოდზე მდებარე 565.0 კვ.მ. სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საპრივატიზებო ღირებულებით - 466.75 (ოთხას სამოცდაექვსი ლარი და სამოცდათხუთმეტი თეთრი) ლარი;
- სოფელ ვარციხეში „აფხანაური“ 30.03.36.141 საკადასტრო კოდზე 4079.0 კვ.მ. სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საპრივატიზებო ღირებულებით 3 917 (სამი ათას ცხრაას ჩვიდმეტი) ლარი;
- სოფელ ზედა დიშში 30.10.31.255 საკადასტრო კოდზე მდებარე 1 147.0 კვ.მ. სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საპრივატიზებო ღირებულებით 1 051.72 (ათას ორმოცდათერთმეტი ლარი და სამოცდათორმეტი თეთრი) ლარი;
- სოფელ II ოზჩაში 30.09.49.202 საკადასტრო კოდზე მდებარე 2360.0 კვ.მ. სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საპრივატიზებო ღირებულებით 1 947.0 (ათას ცხრაას ორმოცდაშვიდი) ლარი.

2019 წლის განმავლობაში სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გაცემული ქონებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 28 926.79 (ოცდარვა ათას ცხრაას ოცდაექვსი ლარი და სამოცდაცხრამეტი თეთრი) ლარი (რაც ქონების განკარგვის შედეგად მიღებული ჯამური შემოსავლის დაახლოებით 25 %-ს შეადგენს), კერძოდ:

- შენობა-ნაგებობების სარგებლობის უფლებით გაცემიდან მიღებული შემოსავალი 19 491.65 (ცხრამეტი ათას ოთხას ოთხმოცდათერთმეტი ლარი და სამოცდახუთი თეთრი) ლარი;
- მიწის ნაკვეთების სარგებლობის უფლებით გაცემიდან მიღებული შემოსავალი 5 634.25 (ხუთი ათას ექვსას ოცდაათობმეტი ლარი და ოცდახუთი თეთრი) ლარი;
- გარე განათების ბოძების იჯარიდან (ინტერნეტ პროვაიდერების მიერ ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელის განთავსების მიზნით) მიღებული შემოსავალი 3 300.89 (სამი ათას სამასი ლარი და ოთხმოცდაცხრა თეთრი) ლარი;
- მანქანა დანადგარების იჯარიდან მიღებული შემოსავალი 500 (ხუთასი) ლარი.

მიმდინარე წლის განმავლობაში მომზადდა საჭირო დოკუმენტაცია და პირდაპირი განკარგვის წესით (აუქციონის გარეშე) გაფორმდა 9 საიჯარო ხელშეკრულება, მათ შორის 4 ხელშეკრულება ინტერნეტპროვაიდერებთან მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებულ გარე განათების ბოძებზე ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელების განთავსებისთვის და 5 ხელშეკრულება მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებულ საზაფხულო საძოვრებზე.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“-სთან გაფორმდა აღნაგობის ხელშეკრულება და უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, 30 წლის ვადით გადაეცა მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული 30.11.32.562 საკადასტრო კოდზე მდებარე უძრავი ქონება (1764.0 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობის მიზნით, რაც გაზრდის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სერვისებზე ხელმისაწვდომობას და უზრუნველყოფს ხარისხიანი სერვისის მიწოდებას.

მუნიციპალიტეტში მცხოვრებ უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახებთან მოხდა სარგებლობის ხელშეკრულებების გაფორმება და უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით ორი წლის ვადით გადაეცათ მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული კოტეჯები.

ეკონომიკის სამსახურის ინიცირებით, მუნიციპალიტეტის მიერ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში დასმული იქნა საკითხი ბალდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაურეგისტრირებელი, აგრეთვე სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირებული ქონების მუნიცილურ საკუთრებაში გადმოცემის შესახებ. რის შედეგადაც, სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოეცა შემდეგი ქონება:

- ქ. ბალდათში, რუსთაველის ქ. №15-ში 30.11.33.25901507 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე 137.78 კვ.მ. ფართი (უმწეოთა სასადილოს შენობა);
- სოფელ როხში 30.04.36.543 საკადასტრო კოდზე მდებარე 54.0 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;
- სოფელ მეორე ოზჩაში 30.08.31.046 საკადასტრო კოდზე მდებარე 950.0 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 135.44 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (I ოზჩის ამბულატორიის შენობა);
- სოფელ ზედა დიშში 30.10.31.100 საკადასტრო კოდზე მდებარე 5526.0 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე გათავსებული შენობა-ნაგებობებით (სკოლის შენობა);
- ქ. ბალდათში, კახიანის ქ. №84-ის მიმდებარედ 37 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა;

- სოფელ ზეგანში 3015.37.349 საკადასტრო კოდზე მდებარე 355.0 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით.

მიმდინარე ეტაპზე განხილვის პროცესშია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში დასმული რიგი ქონების გადმოცემის საკითხი:

- სოფელ როკითში 30.06.31.001 საკადასტრო კოდზე მდებარე №1-276.4 კვ.მ. და № - 117.0 კვ.მ. შენობა-ნაგებობა;
- სოფელ ვარციხეში 30.03.31.223 საკადასტრო კოდზე მდებარე უძრავი ქონება;
- სოფელ როხში 30.04.39.405 და 30.04.39.406 საკადასტრო კოდებზე მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები;
- სოფელ წითელხევში 30.13.40.029 საკადასტრო კოდზე მდებარე უძრავი ქონება;
- საირმეში (წიტელი მინდორი) 30.18.33.010 საკადასტრო კოდზე მდებარე უძრავი ქონება;
- სოფელ ვარციხეში, ჭინჭარაულის ტერიტორიაზე სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები;
- ქ. ბაღდათში, თამარ მეფის ქ. №125-ის მიმდებარედ 30.11.38.112 საკადასტრო კოდზე მდებარე უძრავი ქონება;
- ქ. ბაღდათში, ვაჟა ფშაველას ქ. №4-ის მიმდებარედ 71.კვ.მ. დაურეგისტრირებელი არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;
- სოფელ წითელხევში 1150 კვ.მ. დაურეგისტრირებელი არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;
- ეროვნული სატყეო სააგენტოს საკუთრებაში არსებული არსებული ვანი-ბაღდათის სატყეო უბნის ხანის სატყეოს ტერიტორიაზე 200.17.17822 საკადასტრო კოდზე მდებარე უძრავი ქონება;
- კურორტ ზეგარში არსებული დაურეგისტრირებელი ქონება.

სამსახურის მიერ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაურეგისტრირებელი სასოფლო სამეურნეო და არასასოფლო სამეურნეო (სკვერი) დანიშნულების მიწის ნაკვეთების მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრაციის მიზნით მომზადდა საჭირო დოკუმენტაცია და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შეტანილი იქნა დაახლოებით ასი განცხადება.

ეკონომიკური განვითარების, საერთაშორისო და ადგილობრივ დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილება

განყოფილების მიერ მიმდინარე წლის განმავლობაში ფინანსური სახსრების ხელმისაწვდომობაზე და დაფინანსების შესაძლებლობებზე კონსულტაცია გაეწია 55 დამწყებ და მოქმედ მეწარმეს, მოხდა მათი ინფორმირება და გადამისამართება კონკრეტული მიმართულებებით.

განყოფილების მიერ შემუშავებული და წარდგენილი იქნა შესაბამისი წესით მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის „ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი.

განყოფილების აქტიური ჩართულობით მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობა აფართოებს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ქსელს, გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი ა(ა)იპ ღია სივრცე კავკასიასთან, რომელიც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ინსტიტუციონალური მექანიზმის და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას.

განყოფილების მიერ სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად განხილული იქნა მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივები დაფინანსების მოძიების შესახებ შემდეგი მიმართულებით: მუნიციპალური სოციალური კომპლექსის მშენებლობა, მუნიციპალიტეტში წყლის მიწოდების გაუმჯობესება ჭაბურღილების გზით, კურორტ ზეკარის ძირითადი ინფრასტრუქტურის განვითარება, მუნიციპალიტეტში ახალი ტურისტული ზონის მოწყობა, აგრო-სამრეწველო ცენტრის მოწყობა, არტ ტურისტული სივრცის მოწყობა, შემუშავდა პროექტის აღწერები.

განყოფილების უშუალო მონაწილეობით მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შესრულება, შესრულების ზედამხედველობა და მონიტორინგი, გაიგზავნა შუალედური ანგარიში ევროკავშირის ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ სამდივნოში და გეგმის პირველი ექვსი თვის შესრულება შეფასდა დადებითად.

განყოფილების აქტიური ჩართულობით, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის ფარგლებში, განხორციელდა ადგილობრივი მეღვინეების და ალკოჰოლური სასმელების მწარმოებლების ხელშეწყობა (სულ 5 მეწარმე) საერთაშორისო ფესტივალში WINE EXPO 2019 მონაწილეობის თანადაფინანსების გზით.

განყოფილების მიერ შემუშავდა და „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ინიციატივის სამდივნოში წარდგენილი იქნა თანამშრომელთა გაცვლის პროგრამის განაცხადი. განაცხადი ითვალისწინებდა ევროპული პრაქტიკოსი ექსპერტების დახმარებას მუნიციპალიტეტში საერთაშორისო ფესტივალის დაგეგმვის და პროგრამის შემუშავების პროცესში. წარდგენილი 60 განაცხადიდან სამდივნოს მიერ მოწონებულნი იქნა და შეირჩა 9, მათ შორის ბაღდათის მუნიციპალიტეტიდან წარდგენილი გამოცხადდა საუკეთესოთა შორის. სამდივნოს თანამშრომელთა გაცვლის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში 4 დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ პოლონეთის ქალაქ კოსტრჟინის მერი და ევროინტეგრაციის საკითხების დეპარტამენტის ხელმძღვანელი. გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში შეიქმნა დამგეგმავი სამუშაო ჯგუფი. ჯგუფის მუშაობის პროცესის ორგანიზებას, სამუშაო დოკუმენტებისა და პრეზენტაციების მომზადებას უზრუნველყოფდა განყოფილება. პოლონელი პრაქტიკოსები 4 დღის განმავლობაში სამუშაო ჯგუფის წევრებს უზიარებდნენ ევროპულ გამოცდილებას, გამოწვევებს, ეცნობოდნენ ადგილობრივ პრაქტიკას, შეირჩა ფესტივალის ჩატარების ლოკაციები, შემუშავდა ფესტივალის კონცეფცია და პროგრამის სამუშაო ვერსია, რომელთა საჯარო გაცნობა და განხილვა მოხდა ფესტივალის შესაძლო პარტნიორების, საჯარო, კერძო და სამოქალაქო ორგანიზაციების, იმერეთში ტურისტული სფეროს წარმომადგენლების და მოსახლეობის მონაწილეობით. თანამშრომელთა გაცვლის ვიზიტი და მისის შედეგები გაშუქებული იქნა 6 ადგილობრივი და 4 საერთაშორისო სატელევიზიო, ინტერნეტ და ბეჭდური მედია საშუალებების მიერ.

თანამშრომელთა გაცვლითი ვიზიტის მიმდინარეობისას ქალაქ კოსტრჟინის მუნიციპალიტეტის მერთან ერთად დაიგეგმა შემდგომი თანამშრომლობის ღონისძიებები, მომავალი წლის სექტემბერში ქალაქ კოსტრჟინში ხელი მოეწერება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, მიღწეული იქნა შეთანხმება ასევე, ერთობლივი პროექტებია განხორციელებასა და მათი გამოცდილების გაზიარებაზე.

თანამშრომელთა გაცვლის ვიზიტის ანგარიში ორივე მხარის მიერ დამოუკიდებლად გაიგზავნა ინიციატივის სამდივნოში, რომელმაც მიიღო მაღალი შეფასება.

მერები ეკონომიკური ზრდისთვის სამდივნოსთან აქტიური თანამშრომლობის და კომუნიკაციის შედეგად, სამდივნოს ხელშეწყობით, მუნიციპალიტეტის ინსტიტუციონალური განვითარების, ევროპული გამოცდილების გაზიარების, მუნიციპალიტეტის ცნობადობის ზრდისა და ნეტვორკინგის ქსელის გაფართოების მიზნით მუნიციპალიტეტის მერი, მაღალი თანამდებობის პირები და LED ოფიცერი სხვადასხვა დროს იმყოფებოდნენ ქ. ვილნიუსში, აღმოსავლეთ პარტნიორობის 10 წლის თავისადმი მიძღვნილ მაღალი დონის ფორუმზე, ქლვოვში ინიციატივის ტურიზმის თემატური ჯგუფის პირველ შეხვედრაზე, ნიდერლანდების სამეფოში ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სასწავლო ვიზიტზე და გაგაუზიარებდა (მოლდოვა)- ინიციატივის ღვინის ინდუსტრიის პირველ შეხვედრაზე.

განყოფილება მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან და ა.(ა).ი.პ-ებთან ერთად აქტიურად იყო ჩართული ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმით გათვალისწინებული, ღვინისა და ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის მოწყობის პროცესში. ფესტივალის ფარგლებში, ღვინის განმავლობაში მიმდინარეობდა ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების დეგუსტაცია და გამოფენა-გაყიდვა, ადგილობრივი წარმოების ნატურალური პროდუქტების, ხელთნაკეთი ნივთების, ყვავილების და აგრო ტექნიკის გამოფენა-გაყიდვა, ნუმიზმატიკური ნივთების, ფერწერული ტილოებისა და სამოსის გამოფენა, ყურძნის სახალხო დაწურვა, ბადაგის დეგუსტაცია, ფელამუშის მოდულება, არყის გამოხდა და კულინარიული კუთხე. ჩატარდა ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“, არტ-ფოლკლორული, ქალაქური და კლასიკური მუსიკის კონცერტი, აქტივობა არტ-მთავროვსკი, ელექტრონული მუსიკის კონცერტი და ლაზერშოუ. ღვინის გამოფენის პროცესში ჩართული იყო 50-მდე ადგილობრივი და მოწვეული მეღვინე და ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი. სხვადასხვა პროდუქციის გამოფენა - გაყიდვის და კულინარიული მომსახურების პროცესში მონაწილეობა მიიღო 20-მდე მეწარმემ. ნუმიზმატიკური ნივთების, ფერწერული ტილოებისა და სამოსის გამოფენაში მონაწილეობდა 20-მდე პირი. კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობდა 400-მდე პირი, მათ შორის, უცხოური ფოლკლორული ჯგუფები და შემსრულებლები. სულ ფესტივალს სტუმრობდა 1500-მდე პირი, მათ შორის აღსანიშნავია უცხოელი ტურისტების სიმრავლე.

განყოფილება აქტიურად მუშაობს საინვესტიციო რესურსების იდენტიფიცირებისა და საინვესტიციო წინადადებების მომზადების მიმართულებით მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასა და პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საინვესტიციო სააგენტოს ხელშეწყობით. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან ერთად მიმდინარეობს საინვესტიციო რესურსების მოძიება, საინფორმაციო განაცხადებისა და საინვესტიციო წინადადებების მომზადება. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მოწოდებული მეთოდოლოგიით ამ ეტაპზე შემუშავებულია 7 წინადადება, რომლებიც აიტვირთება მიტრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ოფიციალურ ვებ გვერდზე (მიმდინარეობს ტექნიკური სამუშაოები), საინვესტიციო წინადადებების ლინკები განთავსდება მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე. სამხარეო ადმინისტრაციის ჩართულობით, პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საინვესტიციო სააგენტოს წარმომადგენლებთან თანამშრომლობით, ინტერნეტ კომუნიკაციის მეშვეობით მუშავდება მუნიციპალიტეტის საინვესტიციო გზამკვლევი და შეთავაზებები. ამ ეტაპზე გაგზავნილია ყოფილი საავადმყოფოს ტერიტორიის საინვესტიციო წინადადება და 5 საინვესტიციო ინიციატივა.

განყოფილების მიერ შემუშავდა და მთავრობის ადმინისტრაციას გადაეგზავნა 5 საინვესტიციო ინიციატივა.

განყოფილების მიერ მომზადდა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში გადაიგზავნა 9 საინვესტიციო პროექტის აპლიკაცია, მათ შორის 4 კერძო სექტორიდან.

განყოფილების ჩართულობით განხორციელდა მუნიციპალიტეტის დაფინანსების მოძიების ინიციატივების წარდგენა ინტეგრირებული საპილოტე რეგიონების განვითარების პროგრამების შემუშავების პროცესში გათვალისწინების მიზნით.

ტურიზმის განვითარების განყოფილება

მ/წ 21-28 იანვარს ბაღდათის მუნიციპალიტეტის დელეგაციამ ტურიზმის განვითარების განყოფილებასთან ერთად მონაწილეობა მიიღო ესპანეთის ქ. მადრიდში გამართულ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა-ბაზრობაში, სადაც მსოფლიოს 175 ქვეყანა მონაწილეობდა და ბაღდათის სლოგანმა „იბერიიდან-იბერიაში“ განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა, გამოფენის ფარგლებში ჩატარდა ბაღდათური ღვინის პრეზენტაცია გაიოზ სოფრომამქსთან ერთად, ხოლო 25-28 იანვარს ქ. რონდას მერის მიწვევით დელეგაცია იმყოფებოდა მალაგის პროვინციაში, სადაც ბაღდათის

მუნიციპალიტეტის მერი არჩილ გოგსაძე შეხვედრა ქალაქ რონდას მერს. მაღაგის პროვინციაში, მოხდა ადგილობრივ მეღვინეებთან შეხვედრა, ბაღდათელმა მეღვინეებმა მოინახულეს 7 მარანი გაიზიარეს მათი გამოცდილება, ვენახის მოვლის, ღვინის შენახვის და ტურისტების მომსახურების სფეროში, რომელიც საქართველოში დაბრუნების შემდეგ გააცნეს ადგილობრივ მეღვინეებს და საოჯახო მარნის მფლობელებს;

მიმდინარე წლის 20 მარტს წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ტურიზმის განყოფილებამ დაგეგმა და ორგანიზება გაუწია აქციას, რომელიც გაიმართა კურორტ საირმეში და წყალტუბოში, აქციაში მონაწილეობას იღებდნენ ბაღდათის და წყალტუბოს სკოლის მოსწავლეები, მასწავლებლები და მუნიციპალიტეტის თანამშრომლები მერთან და საკრებულოს თავმჯდომარესთან ერთად, აქციის ფარგლებში მოეწყო ინფო-ტური კურორტ საირმეში და წყალტუბოში, სადაც წარმოდგენილი იყო პრეზენტაციები, რომელიც შეიცავდა საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორმაციას წყლის მნიშვნელობაზე მოსახლეობისა და დედამიწისთვის;

ბაღდათის ტურიზმის განვითარების განყოფილების ჩართულობით და ორგანიზებით პროფესორ გიორგი დვალაშვილთან ერთად, დაიბეჭდა 2019 წლის მუნიციპალიტეტის ტურისტული რუკა, ბუკლეტები და კალენდარი;

საგამოფენო ცენტრ WinExpo Georgia 2019 მ/წ 13-15 ივნისს გაიმართა ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენა, სადაც ბაღდათელი მეღვინეები და საოჯახო მარნის მფლობელები იღებდნენ მონაწილეობას, საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ ინოვაციებს და მრეწველობის განვითარების ტენდენციებს, პოპულარიზაცია გაეწიათ ბაღდათისთვის და ტურისტული პოტენციალისთვის, მათ მონაწილეობას ორგანიზება გაუკეთა ტურიზმის განვითარების განყოფილებამ და ეკონომიკური განვითარების ადგილობრივი და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილებასთან ერთად;

მ/წ 22- 23 ივნისს, ტურიზმის განყოფილებამ მონაწილეობა მიიღო ღვინის ტურიზმის საერთაშორისო კონფერენციაში რომელიც ჩატარდა ქ. თბილისში ტექნიკურ უნივერსიტეტში;

ქალაქ თბილისში 11 აპრილს სასტუმრო „საქართველოში“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საოჯახო მარნებში დამზადებული ღვინის გამოფენა-გაყიდვა და დეგუსტაცია გაიმართა. სადაც 21 მეღვინე იღებდა მონაწილეობას. გამოფენას საქართველოს პარლამენტის წევრი, ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი კობა ლურსმანაშვილი, ბაღდათის მუნიციპალიტეტის თანამშრომლები, სტუმრები სხვადასხვა ქვეყნებიდან და ტურისტული კომპანიების წარმომადგენლები დაესწრნენ. მოხდა შეთანხმება ტურისტულ კომპანიებსა და ბაღდათის საოჯახო მარნების წარმომადგენლებს შორის, სამომავლო თანამშრომლობაზე. დაიგეგმა ინფო-ტური ბაღდათის მუნიციპალიტეტის მარნებში ტურისტული კომპანიების და ტუროპერატორებისთვის. ღვინის გამოფენა-გაყიდვა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ტურიზმის განვითარების განყოფილება და ბაღდათის საოჯახო მარნების გილდიის ორგანიზებით განხორციელდა;

მ/წ 5 ოქტომბერს ქართული ყველისა და კულინარიის ფესტივალზე ქალაქ გურჯაანში ტურიზმის განყოფილებამ, სოფლის მეურნეობის განყოფილებასთან ერთად ორგანიზება გაუწია მეღვინეების და ადგილობრივი მეწარმეების მონაწილეობას;

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციასთან ერთად, ბაღდათის ტურიზმის განყოფილების ორგანიზებით მ/წ 3 ტრენინგი დაიგეგმა და ჩატარდა მეღვინეებისთვის, საოჯახო სასტუმროების მფლობელებისთვის და ადგილობრივი მეწარმეებისთვის;

ბაღდათის ადგილობრივმა მეწარმეებმა მ/წ 16 ოქტომბერს მონაწილეობა მიიღეს ყველისა და კულინარიის ფესტივალზე, სადაც განსაკუთრებით მოწონება დაიმსახურა, როგორც ხანში ქვევრში დავარგებულმა ყველმა და სულგუნმა აგრეთვე ალპურ ზონაში დამზადებულმა სულგუნმა, მათ მონაწილეობას ორგანიზება გაუკეთა ტურიზმის განყოფილებამ. დიტოს მარნის მფლობელმა მაკა ლაბაძემ აღნიშნულ ფესტივალზე ჩაატარა, იმერული კეცის მჭადის, ხაჭაპურის, შამფურის ხაჭაპურის

მასტერკლასები, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა სტუმრების და გურჯაანის დეპუტატის მხრიდან, მეღვინეებმა კი პირობა მისცეს ღვინის არტ ფესტივალში მონაწილეობაზე;

ტურიზმის განვითარების განყოფილებამ მონაწილეობა მიიღო ს. ხანის ქვის სამ განყოფილებიანი საწნახელის, ყველისა და სულგუნის პოპულარიზაციაში, რომელიც აქტიურად შუქდება, სხვადასხვა მედია და ინტერნეტ საშუალებებით, მიეძღვნა რამდენიმე გადაცემა, გაზარდა ცნობადობა და დაინტერესება სხვადასხვა ტურისტული კომპანიებიდან და ტურისტებიდან;

ტელეკომპანია იმედის ეთერში გავიდა გადაცემა საიმედო ტური ბაღდათში, რომელმაც ხელი შეუწყო მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციას, ასევე პროფესორ გიორგი დვალაშვილთან თანამშრომლობის ფარგლებში ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ეთერში გავიდა სიუჟეტი ქვასაყდარაზე, მესაქონლეობასა და მეფუტკრეობაზე და ხელი შეუწყო ბაღდათის და მისი ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციას;

ტურიზმის განყოფილება აქტიურად მუშაობს მუნიციპალიტეტის ტურისტული ობიექტები, მარნები, სასტუმროები მუზეუმები, ბუნებრივი და ისტორიული ძეგლები განთავსდეს „Google-maps“, რათა ტურისტებს გაუადვილდეთ მონახულება, გაიზარდოს მათი პოპულარობა და კონკურენტუნარიანობა;

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ღვინის საერთაშორისო არტ-ფესტივალის საორგანიზაციო საკითხებში და ფესტივალის ჩატარებაში აქტიურად მონაწილეობდა ტურიზმის განვითარების განყოფილება.

სოფლის მეურნეობის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისა და გარემოს დაცვის განყოფილება

მიმდინარე წლის განმავლობაში ბაღდათის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა სოფლის მეურნეობის პრობლემატური საკითხების მოგვარებისა და გარემოს დაცვის კუთხით, კერძოდ, აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით სისტემატურად ტარდებოდა შეხვედრები მოსახლეობასთან ფაროსანასაგან მიმდინარე საფრთხეების გაცნობიერებისა და მასთან ბრძოლის ღონისძიებების შესახებ. მიმდინარე წელს, განსხვავებით წინა წლისაგან, უფრო მეტი ყურადღება დაეთმო ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის „მოიზიდე და გაანადგურე“ პრინციპს, რაც გულისხმობს ცივი შესხურებით წერტილოვან შეწამვლებს. ამისათვის წლის დასაწყისში ფაროსანას გავრცელების მასშტაბის განსაზღვრის მიზნით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ იქნა 130 ერთეული ფერომონი, რაც საშუალებას გვაძლევდა გვეკონტროლებინა ფაროსანას გავრცელების არეალი და ინტენსივობა. მონიტორინგის შემდეგ, მაისის თვეში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსდა პირველი ეტაპის 1120 ცალი ფერომონი, ხოლო მეორე ეტაპზე კიდევ 1680 ცალი, მათი დამუშავება ცივი შესხურებით მოხდა რვაჯერ, დამატებით ორჯერ, ივნისსა და სექტემბერში, მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორია დამუშავდა თერმული ნისლის გაფრქვევით. გატარებული ღონისძიებების შედეგად მწერის გავრცელების პოპულაციამ იკლო 10-ჯერ, ხოლო მოსავლის ზარალი შემცირდა 3-5% -მდე. გაწეული მუშაობა სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ შეფასდა როგორც საუკეთესო იმერეთის რეგიონში.

მიმდინარე წელს სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალის“ ქვეკომპონენტის - კენკროვანი კულტურების გაშენების 100%-იანი დაფინანსების პროგრამაში მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა 42-მა ბენეფიციარმა, რომელთაგან დაფინანსდა 26 პიროვნება საერთო ფართობით 10,5 ჰა. ამჟამად მათ მიერ უკვე მიმდინარეობს მოცვისა და ჟოლოს ბაღების გაშენება. მიმდინარე წლის სექტემბრიდან დაიწყო ამავე პროგრამის მეორე ეტაპი, რომელსაც დაემატა ასევე ვაზის გაშენების 50 და 70%-იანი დაფინანსების პუნქტი. მეორე ეტაპზე მსურველთა რაოდენობა ჯერ-ჯერობით 16-ია, საერთო ფართობით 6,2 ჰა.

ახალგაზრდა სპეციალისტთა დახმარების კუთხით მიმდინარე წლის ივნისის თვეში 5 ახალგაზრდა ფერმერისათვის ჩატარდა მიწის მრავალკომპონენტიანი ლაბორატორიული კვლევები, რისთვისაც გამოიყო 1100 ლარი.

დიდი ყურადღება ეთმობოდა მელიორაციის სამუშაოებს: დასრულების სტადიაშია „დიმი-როკითის“ სარწყავი სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპი, რისთვისაც გამოყოფილია 1,2 მლნ.

ლარი, მეორე ეტაპის სამუშაოები დაიწყება 2020 წლიდან. შეკეთდა სარწყავი სისტემები ვარციხეში, საიმედოში და დიმში.

განყოფილების მიერ შესწავლილ იქნა წიაღის ეროვნული სააგენტოდან მიღებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე ლიცენზიის გაცემის მიზანშეწონილობის შესახებ 15 მომართვა, რომელთაგან დადებითი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 5 ობიექტზე.

მიმდინარე პერიოდის განმავლობაში სისტემატურად ტარდებოდა გარემოსდაცვითი ღონისძიებები; ორჯერ მოეწყო ფართომასშტაბიანი დასუფთავების აქცია, მოხდა 3 სტიქიური ნაგავსაყრელის დახურვა, შესწავლილ იქნა და გარემოდან ამოღებულია 38 ძირი გამხმარი და ფაუტი ხე, ხოლო მათ მაგიერ გაშენდა ახალი, მწვანე ნარგავები.

დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან მიღწეული შეთანხმების შედეგად, საგზაო ინფრასტრუქტურის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, აჯამეთის ალკვეთილის ტერიტორიაზე ჩავატარეთ სპეციალური ჭრები გამხმარი ხეების გარემოდან ამოსაღებად, რის შედეგადაც მიღებული 271 კუბ. მ. შემა გადაეცა მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, ასევე „ქუთაისი-ბაღდათი-აბასთუმანი-ბენარას“ საავტომობილო გზის სარებილიტაციო სამუშაოებისას გარემოდან ამოღებული 82 კუბ. მ. საშემე მერქანი დაურიგდა 40 სოციალურად დაუცველ ოჯახს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მუნიციპალიტეტში მცხოვრები საოჯახო მარნების მფლობელები და აგროსექტორის წარმომადგენლები სისტემატურად და წარმატებით მონაწილეობდნენ რესპუბლიკის მასშტაბით ჩატარებულ ფესტივალებსა და გამოფენა-გაყიდვებში, პროფესიონალი სპეციალისტების მოწვევით ტარდებოდა ტრენინგები სოფლის მეურნეობის პრობლემური საკითხების გასაშუქებლად.

მიწის აღიარების კომისია

ეკონომიკის სამსახურის უფროსი (კომისიის თავმჯდომარე) და სამსახურის თანამშრომლები (ხუთი სპეციალისტი) აქტიურად მუშაობენ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში“ შემოსული განცხადებების განხილვა-დამუშავებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

მიმდინარე წლის განმავლობაში კომისიას განცხადებით მიმართა 282-მა (ორას ოთხმოცდაორი) ფიზიკურმა პირმა. აქედან 113 (ას ცამეტი) განცხადებაზე მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება. კომისიამ უარყოფითი გადაწყვეტილება გამოიტანა 111 (ას თერთმეტი) განცხადებაზე და უარი ეთქვა განმცხადებლებს მათ მიერ კომისიაში წარმოდგენილი მასალების კანონმდებლობასთან შეუსაბამობის გამო. დანარჩენი განცხადებები განხილვის პროცესშია და მიმდინარეობს გადაწყვეტილების მიღებისთვის აუცილებელი, კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის მოძიება.

ზედამხედველობის სამსახური

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახური მისი დებულების შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში ასრულებდა სხვადასხვა სახის სამუშაოებს:

ახორციელებდა კონტროლს ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის მიღებულ გადაწყვეტილებების შესრულებაზე, მშენებარე შენობა-ნაგებობებზე მშენებლობის დაწყებიდან დასრულებამდე, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე იერსახის, კეთილმოწყობის და მიწათსარგებლობის წესების, სანიტარული ნორმების, გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვაზე.

კოორდინირებულად მუშაობდნენ იურიდიულ განყოფილებასთან და ინფრასტრუქტურის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად.

მოაწესრიგეს გარე ვაჭრობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ბაღდათის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე.

სამსახური აქტიურადაა ჩაბმული ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღების ორგანიზებაში.

სამსახურის სპეციალისტებმა შეისწავლეს და შესაბამისი რეაგირება მოახდინეს სამეზობლო დავებზე, მოქალაქეთა განცხადებებსა და სხვადასხვა უწყებიდან შემოსულ წერილებზე.

2019 წლის მანძილზე სამსახურს დაეწერა და რეაგირება მოახდინა 148 წერილზე, მათ შორის 85 წერილი განეკუთვნებოდა სამოქალაქო დავებს და სამშენებლო ნებართვებს, ხოლო 63 წერილი სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს.

სამუშაო პერიოდის განმავლობაში გამოვლენილია 7 სამშენებლო სამართალდარღვევა. მშენებლობაში მონაწილეთა მიმართ კანონის შესაბამისად გაიცა მითითება, რათა გონივრულ ვადაში მოეხდინათ სამშენებლო სამართალდარღვევის გამოსწორება. დარღვევა მიცემულ ვადაში გამოასწორა ერთმა კანონდამრღვევმა, ექვსი კი დაჯარიმდა კანონის შესაბამისად (აქედან ორმა ჯარიმა გაასაჩივრა სასამართლოში). სამშენებლო სამართალდარღვევებზე ჯარიმის სახით შემოსულმა თანხამ შეადგინა 1600 (ათასექვსასი) ლარი.

ასევე სამუშაო პერიოდის განმავლობაში გამოვლენილია 4 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირი, რის გამოც მათ კანონის შესაბამისად დაეკისრათ ადმინისტრაციული სახდელი. ჯარიმის სახით შემოსულმა თანხამ შეადგინა 550 (ხუთასორმოცდაათი) ლარი.

შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახური

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის 2019 წლის 03 იანვრის N41 1 მიმართვის საფუძველზე, მერიის 2019 წლის 07 მარტის N41 635 ბრძანებით დამტკიცდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის 2019 წლის მანძილზე განსახორციელებელი შიდა აუდიტების და სხვა საქმიანობის წლიური გეგმა, რომლითაც განსაზღვრული იყო მერიის 4 სტრუქტურული ერთეულის და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული 1 ა(ა)იპ-ის შიდა აუდიტორული შემოწმება და განაცემი რეკომენდაციების მონიტორინგის ჩატარება ერთ სტრუქტურული ერთეულსა და 4 ა(ა)იპ-ში.

ამ დროისათვის დასრულებულია წლიური გეგმით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული 1 ა(ა)იპ-ის და მერიის 3 სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტი (ორ მათგანის შემთხვევაში მიმდინარეობს დაზუსტებები ანგარიშის პროექტის შედგენის მიზნით), ხოლო 1 სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტი გაგრძელდა 2020 წელს. ჩატარებული იქნა დაგეგმილი მონიტორინგებიც. საანგარიშო წლის მანძილზე განხორციელებული შიდა აუდიტის დროს რაიმე მნიშვნელოვან გარემოებას რომელიც საფრთხეს შეუქმნიდა შიდა აუდიტის სუბიექტის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას, გამოვლენილი არ ყოფილა.

ა(ა)იპ-ის შემთხვევაში თანამშრომელთა პირადი საქმეებში სრულყოფილად არ იყო განთავსებული შინაგანაწესით მოთხოვნილი საბუთები. ქონების გადაცემა იყო მოსაწესრიგებელი კანონით გათვალისწინებული ფორმების შესაბამისად. აღნიშნული საკითხის მოსაწესრიგებლად მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის ქონების ინვენტარიზაცია, რაც საფუძველი გახდება ზემოაღნიშნული საკითხის მოწესრიგებისა.

საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა აღრიცხვის ჟურნალებში არსებული გრაფები არ იყო სრულად შევსებული, რაც რიგ შემთხვევებში ჯამების წონასწორობით უზრუნველყოფდა შეცდომების გამორიცხვას. ბავშვთა დასწრების აღრიცხვის სრულყოფის მიზნით, მიეცათ რეკომენდაცია დაედგინათ მკაცრად გაწერილი ერთიანი მიდგომა ბავშვთა რაოდენობის აღრიცხვის კუთხით.

მენიუებში ერთერთ პროდუქტთან მიმართებაში ბრუტო და ნეტო წონებს შორის თანაფარდობა არ იყო დაცული საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №487 დადგენილებაში მითითებული ნორმების (ტექნიკური რეგლამენტის - „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების“ დამტკიცების შესახებ) შესაბამისად.

სოფ. ხანის ბაღთან დაკავშირებით შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის მიერ გამოვლინდა პურის ტრანსპორტით მომარაგებასთან დაკავშირებული ხარვეზები, რის აღმოფხვრის მიზნითაც ბაღს შეუძინეს პურის მცირე საცხობი და ხდება ბავშვებისთვის ახალი პურის შეუფერხებელი მიწოდება.

შესყიდვების შესახებ არსებული კანონმდებლობა ბუნებრივია ვერ განსაზღვრავს ყველა ცალკეულ შემთხვევას და შესყიდვის ერთერთ შემთხვევაში ნაკლებად ხელსაყრელი ხერხი ჰქონდათ შერჩეული, რის შედეგადაც სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას მოუწია 3350,61 ლარის მეტობით გადახდა, რის აცილებაც ხელსაყრელი ხერხის არჩევის შემთხვევაში შესაძლებელი იყო. თუმცა შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის მიერ აღნიშნული მიგნების შემდგომ, გაერთიანების ამჟამინდელი დირექტორის მნიშვნელოვანი მცდელობების და მომწოდებლის საკითხში გარკვევის შედეგად, მომწოდებელმა 2019 წლის 05 ივლისს დააბრუნა ზემოხსენებული 3350,61 ლარი ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ანგარიშზე (ვინაიდან პირდაპირ გაერთიანების ანგარიშზე დაბრუნება ტექნიკურად შეუძლებელია).

ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გაფორმებული ხელშეკრულებები რიგ შემთხვევაში ცალსახად და ცხადად არ ასახავდა და ითვალისწინებდა მნიშვნელოვან მხარეებს. იგივე ითქმის ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელი ტენდერში გამარჯვებულ შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“ -ს შემთხვევაშიც, სადაც მაგალითად არ არის განსაზღვრული თუ მომწოდებლის შესრულებული სამუშაოების დარღვევა-ნაკლოვანების აღმოჩენიდან რა ვადაში უნდა შეატყობინოს მუნიციპალიტეტს, ამ უკანასკნელზე კი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დასაანგარიშებელი პირგასამტეხლოს ათვლის თარიღი იყო დამოკიდებული.

ზოგ შემთხვევაში გეგმა-გრაფიკის დარღვევისათვის მომწოდებლის მიმართ პირგასამტეხლოს დაკისრება არ ხდებოდა ან არასრულ დღეებზე იანგარიშებოდა. რამდენიმე შემთხვევაში გამოიკვეთა, რომ არ ხდებოდა სათანადო შემოწმება სამუშაოთა წარმოების ჟურნალებისა.

2018 წელს ჩატარებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული შესაბამისობის აუდიტის დროს გამოვლენილი მიგნებების შესახებ გაცემული რეკომენდაცია N12 -ის შესრულება დაევალა შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურს, რომელიც ძირითადად 2012-2013 წლების მოვლენებს უკავშირდებოდა და რომელთა შესახებ მონაცემების მოძიება და შესაბამისი დამუშავება საკმაოდ შრომატევადი აღმოჩნდა. იგი დასრულებულია და სხვა სამსახურების შედეგებთან ერთად გადაეგზავნება სახელმწიფო აუდიტის სამსახურს.

საკრებულოს წინაშე შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის მიერ მომზადებული და წარდგენილი იყო მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში, 2019 წლის ოთხივე კვარტლის ანგარიშები. ასევე საკრებულოს წერილის საფუძველზე, მერის ბრძანებით ჩატარდა 4 ა(ა)იპ-ის საქმიანობის შემოწმება.

3 მოქალაქის განცხადება/საჩივარი განიხილა, შეისწავლა, მოიკვლია და შესაბამისი გადაწყვეტილება წერილობითი პასუხით აცნობა. ასევე დამუშავდა არასამთავრობო ორგანიზაციის ერთი წერილობითი მოთხოვნა და ეცნობა პასუხი.

მერიის ორი თანამშრომლის მიმართ შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურმა განახორციელა დისციპლინური წარმოება, რის შედეგადაც მათ დაეკისრათ დისციპლინური პასუხისმგებლობა.

წლის მანძილზე, პროფესიული სწავლება-გადამზადებები 7 შეკრებაზე გაიარეს შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის თანამშრომლებმა.

გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგების ჩატარებისას 39-რეკომენდაციიდან გათვალისწინებული იყო 31 მათგანი, ამასთანავე 3 რეკომენდაცია ეხებოდა ინვენტარის საკითხების მოწესრიგებას, რასთან დაკავშირებითაც ელოდებიან მუნიციპალიტეტში მიმდინარე აღწერის შედეგებს, ხოლო 5 რეკომენდაცია შესრულებული არარის.

ადმინისტრაციული სამსახური

დოკუმენტბრუნვა და საქმისწარმოება

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულმა სამსახურმა, შესაბამისი კანონმდებლობისა და მერიის დებულებით დადგენილი წესით, მ/წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით უზრუნველყო საქმისწარმოების წარმართვა შემდეგი მიმართულებით:

- მოქალაქეთა მომსახურების ბიუროში მოქალაქეთა მიღების ორგანიზება, მათთვის კონსულტაციის გაწევა მერიაში არსებული სერვისებისა და მომსახურების შესახებ
- ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან შემოსული კორესპოდენციების, (განცხადებების, ერთობლივი განცხადებების, მომართვების) აღრიცხვა, საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემებში, დარეგისტრირება და მათი ადრესატებისათვის გადაგზავნა.
- გასაგზავნი კორესპოდენციების რეგისტრაცია, გაგზავნა და ადრესატებისთვის მიწოდების კონტროლი. ასევე დოკუმენტბრუნვის სისტემაში არსებული სხვადასხვა კატეგორიის დოკუმენტების შესამამისი წესით რეგისტრაცია/დამუშავება.
- საქმისწარმოების ინსტრუქციის, საქმეთა ნომენკლატურის, არქივის დებულების და ცენტრალური საექსპერტო კომისიის დებულების შემუშავება.
- საქმისწარმოების ნომენკლატურის შესაბამისად, მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაციის დამუშავება.
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დროებითი შენახვის უზრუნველყოფა.
- ცენტრალური არქივისათვის გადასაცემად საქმეების მომზადებისა და გადაცემის ორგანიზაცია.
- საჯარო ინფორმაციის მომზადება.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საქმისწარმოების განყოფილების მიერ, საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად, ასევე საქმისწარმოების ელექტრონული სისტემების გამოყენებით, მ/წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით დამუშავდა **18 000 -ზე** მეტი დოკუმენტი,

მიმდინარე წელს განხორციელდა საქართველოს ეროვნულ არქივის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების საქმისწარმოებისა და საარქივო საქმის მდგომარეობის კომპლექსური შემოწმება, ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტის საქმიანობა შეფასდა დადებითად. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესაბამისად მოხდა საქმისწარმოების ელექტრონული წესისა და არქივის დებულების შემუშავება, ასევე ბოლო წლებში შემუშავებული ნორმატიულ-მეთოდური დოკუმენტების დახვეწა, რაც უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში არსებული დოკუმენტაციის დაცვასა და საქმისწარმოების გამართულ მუშაობას.

2019 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით საქმისწარმოების განყოფილების მიერ რეგისტრირებულია **7 044** შემოსული კორესპოდენცია,

მათ შორის :

საქმისწარმოების ელ. სისტემის MMS -ის საშუალებით რეგისტრირებულია:

1609 - განცხადება, რომელიც მოიცავს სოციალურ სფეროს;

105 - განცხადება, მოიცავს ინფრასტრუქტურულ სფეროს, (მშენებლობის ნებართვები)

აღნიშნულ სისტემაში არ არის დარღვეული დოკუმენტის მომზადებისა და შესრულების ვადები

საქმისწარმოების ელ. სისტემის edocument -ის საშუალებით რეგისტრირებულია:

1636 - განცხადება (მოქალაქეებიდან შემოსული) - ვადაგადაცილებული შეუსრულებელი - 27

3562 - მომართვა (ორგანიზაციებიდან შემოსული)- ვადაგადაცილებული შეუსრულებელი - 198

490 - საკუთრების აღიარების კომისიაზე შემოსული კორესპოდენცია - შეუსრულებელია 84

საქმისწარმოების განყოფილების მიერ რეგისტრირებულია ასევე:

5320 - გასული კორესპოდენცია, ყველა მათგანი გადაგზავნილია შესაბამის ადრესატთან

1796 - სამართლებრივი აქტი,

3194 - შიდა ტიპის დოკუმენტი,

420 - საკუთრების აღიარების კომისიის განკარგულება

665 - საკუთრების აღიარების კომისიის მიმართვები სხვადასხვა ორგანიზაციებზე.

საქმისწარმოების განყოფილება მისი უფლებამოსილების ფარგლებში, საქმისწარმოების ერთიანი წესებისა ელექტრონული სისტემების ინსტრუქციების შესაბამისად მუდმივად ახორციელებს დოკუმენტების შესრულების მონიტორინგს, პერიოდულად ამზადებს წერილობით ინფორმაციას დოკუმენტების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, რის საფუძველზეც მერიის სტრუქტურული ერთეულები ახორციელებენ შესრულების ვადების დაცვით კორესპოდენციების მომზადებას

2019 წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოვიდა 107 იურიდიული და ფიზიკური პირის წერილი და განცხადება. ყველა მათგანზე პასუხი გაცემულია დროულად. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის, საჯარო მოსამსახურეთა მიერ ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევისა და პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების ფაქტი არ დაფიქსირებულა.

წარმომადგენლებთან ურთიერთობის განყოფილება

მიმდინარე წელს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მოხდა უზრუნველყოფა საქმისწარმოების ელექტრონული სისტემისა, კერძოდ: ყველგან, დამონტაჟდა ინტერნეტის ქსელი, მათთვის შეძენილი იქნა თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკა და შესაბამისად ჩერთნენ დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში. შედეგად გაცხადებების მიღება წარმოებს ადმინისტრაციულ ერთეულებში, განცხადების პასუხებისა და ადგილწარმოშვების ცნობების ფორმირება შესაბამისად ხდება ადგილზე. აღნიშნულმა საკითხმა ოპერატიულობის თვალსაზრისით გააიოლა დოკუმენტბრუნვის სისტემა.

წარმოგიდგენთ სტატისტიკურ მონაცემებს:

2019 წლის 01 იანვრიდან 2019 წლის 01 ნოემბრამდე შემოსულია 2070 დავალება აქედან:

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შემოსულია 1005 დავალება, რომელზედაც შედგენილია დათვალიერების 800 ოქმი;
- კერძო პირებისაგან შემოსულია 970 განცხადება (ცნობა ადგილწარმოშობის შესახებ, ხე - მასალისა და საცხოვრებელი ადგილის);
- სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან შემოსულია 3 დავალება;
- სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციიდან შემოსულია 3 დავალება;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ბაღდათის რაიონული განყოფილებიდან - 7 დავალება;
- სსიპ საქართველოს ეროვნული სატყეო სააგენტოდან - 7 დავალება;
- ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან - 10 დავალება;
- სხვა ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიიდან - 7 დავალება;
- საქართველოს პარლამენტიდან - 5 დავალება;
- სოფლის მეურნეობის სამინისტროდან - 1 დავალება;
- სხვადასხვა ორგანიზაციებიდან შემოსულია - 55.

მოქალაქეთა კერძო საკუთრებაზე სხვადასხვა ობიექტური გარემოების შედეგად მიყენებული ზარალის შემსწავლელ კომისიაზე შემოსული იყო 185 განცხადება რომლებზედაც გაიცა ფულადი დახმარება: 9 დამწვარ სახლზე 11300 ლარის ოდენობით;

ქირით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით შემოსულია 54 განცხადება, დაკმაყოფილდა 23 ოჯახი.

სახელმწიფო შესყიდვები

სახელმწიფო შესყიდვები ქვეყნის ეკონომიკის და საჯარო მმართველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია და ის მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვცდილობთ გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები. იმისთვის, რომ საჯარო ფინანსების რესურსების განაწილება რაციონალურად განხორციელდეს სრულიად ტრანსპარენტულ გარემოში, სადაც ასევე მინიმუმზეებულია ყოველგვარი კორუფციული რისკები.

საბიუჯეტო ორგანიზაციები 2010 წლიდან სახელმწიფო შესყიდვებს ახორციელებენ სპეციალური ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რომელსაც მეთვალყურეობასა და ზედამხედველობას უწევს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისათვის არსებობს რამდენიმე სხვადასხვა ინსტრუმენტი, რომელთა გამოყენება დაკავშირებულია შესყიდვის ვადებთან, თანხის მოცულობასა და შესყიდვის ობიექტის სპეციფიკაციასთან. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს საქონელი, სამუშაო და მომსახურება, რომელთა შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს კონკურსის, გამარტივებული შესყიდვის და ელექტრონული ტენდერის მეშვეობით.

მუნიციპალურ შესყიდვებს წლის განმავლობაში ახორციელებდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვების და მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილება.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2019 წლის შესყიდვების გეგმა მიღებული იქნა საბიუჯეტო და სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის დაცვით, მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცებული პარამეტრების გათვალისწინებით. დამტკიცებული გეგმით შესასყიდი საქონლის, სამუშაოს და მომსახურების მოცულობამ მუნიციპალიტეტისათვის აუცილებლად გასაწევი ხარჯების გათვალისწინებით შეადგინა 532.3 ათასი ლარი, დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში 6276,1 ათასი ლარი. 2019 წლის განმავლობაში ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების კვალობაზე შესაბამისად მოხდა შესყიდვების გეგმის კორექტირება და საბოლოოდ წლიური დაზუსტებული ბიუჯეტის

მოცულობის (14951,3 ათასი ლარი) გათვალისწინებით შესყიდვების გეგმამ შეადგინა 9477.6 ათასი ლარი. გეგმაში მნიშვნელოვანი წილი ჰქონდა რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილ თანხებს.

დამტკიცებული შესყიდვის გეგმის ფარგლებში სულ გაფორმებული იქნა 314 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 7885,3 ათასი ლარი.

აქედან 62 ხელშეკრულება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა- 7009,1 ათასი ლარი, ხოლო ხელშეკრულება გაფორმდა 6183,5 ათასი ლარი, ანუ ეკონომიამ შეადგინა 825,6 ათასი ლარი.

242 ხელშეკრულება დაიდო გამარტივებული შესყიდვის შედეგად, საერთო თანხით 1402.2 ათასი ლარი;

კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად, რომელსაც ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციისთვის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ერთიანად ატარებს - 10 ხელშეკრულება, საერთო თანხით 281,6 ათასი ლარი.

საწვავის კონსოლიდირებული ტენდერის შედეგებიდან გამომდინარე გამარჯვებულ პრეტენდენტს(შპს „რომპეტროლი“) ავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ გააჩნდა, ამის გამო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე გადაუდებელი აუცილებლობით გამომდინარე გაფორმდა 12(ყოველთვიურად 1 ხელშეკრულება) შპს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-სთან და „სან პეტროლიუმ ჯორჯია“-სატან.

ევროკავშირთან ვიზა-ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ანტიკორუფციული კომპონენტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით, საქართველოს პარლამენტის მიერ 2015 წლის 24 ივლისს მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილი კანონპროექტი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. ეს კანონი, რომელიც ამოქმედდა 2015 წლის 1 ნოემბრიდან, ადგენს ცალკეული საფუძვლებით (გადაუდებელი აუცილებლობა, ექსკლუზიური უფლებამოსილება, ხარისხის გაუარესების თავიდან აცილება, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარება), გამარტივებული შესყიდვების განხორციელების სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან სავალდებულო შეთანხმების მარეგულირებელ ნორმებს. ამის გათვალისწინებით გადაუდებელი აუცილებლობით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესაბამისი თანხმობის საფუძველზე განხორციელდა 13 შესყიდვა საერთო ღირებულებით 682,9 ათასი ლარი.

განხორციელებული შესყიდვების მეტი წილი სავარაუდო ღირებულება წარმოადგენდა 50000 ლარზე ნაკლებს, აღნიშნულიდან გამომდინარე სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა ხელმისაწვდომი გახდა მცირე ბიზნესის წარმომადგენლებისათვის. ამასთან ტენდერების გამოცხადება გარდა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებისა(რაც განპირობებული იყო პროექტების დაგვიანებით მოწოდებით) მოხდა წლის დასაწყისში , რამაც ხელი შეუწყო რომ სამუშაოები ძირითადად დასრულებულიყო საანგარიშო წლის განმავლობაში.

საინტერესოა განვიხილოთ ზოგიერთი შესყიდვის კატეგორია, პირველ რიგში შეგვიძლია ავლნიშნოთ, რომ ეკონომიის მაჩვენებელი ყველაზე მეტი დანახოვით, ისევე როგორც წინა წლებში მაღალია სამშენებლო სამუშაოების კატეგორიაში და საინჟინრო მომსახურების სფეროში. გასულ წელში პრეტენდენტთა საშუალო მონაწილეობის მაჩვენებელი ამ სფეროში იყო 3-ის ტოლი.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის #23 დადგენილებით “ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ განსაზღვრული წესით მუნიციპალიტეტს 2019 წელს 8 ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად გამოეყო 4 098 510 ლარი.

ცხრილი #1

პროექტის დასახელება	სახელშეკრულებო ღირებულება (ლარი)	ფაქტობრივი ღირებულება (ლარი)	გზის საერთო სიგრძე (მ)	2019-ში რეაბილიტირებული (მ)	მიმწოდებელი
რ.გ.პ.ფ.					
1. სოფ. პირველ ობჩაში მთისძირისკენ მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.	437 777	423702,85	3 960	1300	სმხანაგობა „ჯაგვი-2019“
2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. დიშში მამუკაშვილების შესახვევიდან ეკლესიამდე გზის მონაკვეთის რეაბილიტაციის სამუშაოები	349 941	336892,75	3 860	1100	სმხანაგობა „იმერეთი-2018“
3. სოფ. ფერსათისა და სოფ. შუბანის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რკ/ბეტონის საფარის მოწყობა	1626000		5500	3500	შ.პ.ს. „ბეტკო“
4. რევაზ ლალიძის სახელობის ბაღდათის კულტურის ცენტრის შენობის სახურავის რეაბილიტაცია	125000	113076,9	1	1	შ.პ.ს. „ლამოდერნა“
5. სოფ. დიმი-ჯ.ღვინჯილიას სახელობის საჯარო სკოლა-სოფ. პირველი ობჩის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის ბეტონის საფარის მოწყობა	678 582		3 668	2121	შ.პ.ს. „ჯეო როუდ ინვესტი“
6. სოფ. წითელხევის შემოვლითი საავტომობილო გზის ბეტონის საფარის მოწყობა	363000		4900	1100	შ.პ.ს. გი-ან 2011“

7. სოფ. წითელხევში მეფარიშვილების უბნიდან თეთრი ეკლესიისკენ მიმავალი საავტომობილო გზის ბეტონის საფარის მოწყობა	340000		3173	925	შ.პ.ს. გი-ან 2011“
8. სოფ.დიმის N2 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის მშენებლობა	192284		1	1	შ.პ.ს. „ბა-ნი“

განხორციელდა რევაზ ლალიძის სახელობის ბაღდათის კულტურის ცენტრის შენობის სახურავის რეაბილიტაცია.

ასევე მიმდინარეობს სოფ.დიმის N2 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის მშენებლობა. აშენდება ორ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფზე გათვლილი ახალი შენობა. პროექტი გარდამავალია სახელმწიფოებო ღირებულებაა 562 000 ლარი, 2019 წელს გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 192284 ლარი, რაც ათვისებული იქნა მთლიანად.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ განსაზღვრული წესით მუნიციპალიტეტს 2019 წელს 40 ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად გამოეყო 346 000 ლარი, ხოლო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის თანადაფინანსებით (ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 მარტის N42 10 განკარგულება) 63 080 ლარი . სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი 40 პროექტიდან 14-ზე მომზადდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და აღნიშნულის განსახორციელებლად სხვადასხვა ორგანიზაციასთან გაფორმდა ხელშეკრულება, ხოლო დანარჩენი 26 პროექტი განხორციელდა მოსახლეობის ძალებით.

სამუშაოები ყველა სოფელში დასრულდა და საკასო შესრულება შეადგენს 100 პროცენტს.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 8 თებერვლის №207 განკარგულების საფუძველზე მუნიციპალიტეტს საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისათვის გამოეყო 384 736 ლარი

სკოლის სახელწოდება	პროექტის დასახელება	სახელმწიფოებო ღირებულება	მიმწოდებელი
--------------------	---------------------	--------------------------	-------------

სოფ.დიმის #1 საჯარო სკოლა	სოფ. დიმის #1 საჯარო სკოლის სპორტ. დარბაზის რეაბილიტაცია	52796.99	შ.პ.ს. „ინტურისტშენკომპანი“
ქ. ბაღდათის #1 საჯარო სკოლა	ქ. ბაღდათის #1 საჯარო სკოლის საპირფარეშოს რეაბილიტაცია	51602.01	შ.პ.ს. „ინტურისტშენკომპანი“
სოფ. ფერსათის #2 საჯარო სკოლა	სოფ. ფერსათის #2 საჯარო სკოლის შენობის გათბობის სისტემის მოწყობა	144186,85	შ.პ.ს. "სვირი"
სოფ. როკითის საჯარო სკოლა	სოფ. როკითის საჯარო სკოლის საპირფარეშოს შენობის რეაბილიტაცია	10828.6	შ.პ.ს.,„ბაჩი“
სოფ. ფერსათის #2 საჯარო სკოლა	სოფ. ფერსათის #2 საჯარო სკოლის შენობის მე-2 კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია	79321.4	შ.პ.ს.,„ბაჩი“
ქ. ბაღდათის #1 საჯარო სკოლა	ქ. ბაღდათის #1 საჯარო სკოლაში მისასვლელი ბილიკის მოწყობა	21496,9	შ.პ.ს. „გი-ან 2011“

სოფ. დიმის #1 საჯარო სკოლა	სოფ. დიმის #1 საჯარო სკოლაში მისასვლელი ბილიკის მოწყობა	5186,58	შ.პ.ს. „გი-ან 2011“
სოფ. როკითის საჯარო სკოლა	სოფ. როკითის საჯარო სკოლის ფილიალი (4 წლიანი სკოლა) მისასვლელი ბილიკის მოწყობა	13315,52	შ.პ.ს. „გი-ან 2011“

გამოყოფილი თანხით ოთხ სკოლაში განხორციელდა რვა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი:

ქ. ბაღდათის #1 საჯარო სკოლაში აშენდა ახალი საპირფარეშო, მოეწყობა სკოლაში მისასვლელი ბილიკები.

სოფ. დიმის #1 საჯარო სკოლაში მიმდინარეობს სპორტ. დარბაზის რეაბილიტაცია და სკოლაში მისასვლელი ბილიკების მოწყობა.

სოფ. ფერსათის #2 საჯარო სკოლის შენობაში მოეწყო გათბობის სისტემა და განხორციელდა სკოლის შენობის მე-2 კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია.

სოფ. როკითის საჯარო სკოლაში განხორციელდა საპირფარეშოს შენობის რეაბილიტაცია და ეწყობა სკოლაში მისასვლელი ბილიკები.

„ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 თებერვლის #120 დადგენილების შესაბამისად, ბაღდათის მუნიციპალიტეტს არსებული ამბულატორიების შენობების რეაბილიტაციისათვის გამოეყო 195 228 ლარი.

ხელშეკრულება გაფორმებულია გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე, ჯამური ღირებულება შეადგენს 195 228 ლარს.

„სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 8 თებერვლის #50 დადგენილების შესაბამისად მუნიციპალიტეტს განსახორციელებელი ღონისძიებისთვის გამოეყო 127 777 ლარი.

გამოყოფილი თანხით ქ. ბაღდათში ი. ჭავჭავაძის ქუჩის გასწვრივ მდ. ხანისწყალზე მოეწყო ყორე-ქვის ნაპირსამაგრი. ამჟამად აღნიშნული სამუშაოები დასრულებულია.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 19 აპრილის #839 განკარგულებით მუნიციპალიტეტს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოეყო 469870 ლარი (ცხრილი #6).

გამოყოფილი თანხით ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. ხანში მიმდინარეობს შიდა სასოფლო გზის 10300 კვ.მ მონაკვეთის რკ/ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები. გზების გასწვრივ ეწყობა ნიაღვარმიმღები არხები და სხვა საინჟინრო ნაგებობები.

2019 წლის განმავლობაში გამოცხადებული იქნა და არ შედგა 4 ტენდერი, უარყოფითი შედეგით დასრულდა 6 ტენდერი, ხოლო 1 ტენდერი შეწყვეტილი იქნა.

სახელმწიფო შესყიდვების, როგორც კორუფციისადმი ყველაზე მეტად მიდრეკილი სფეროში რისკების ანალიზისა და პრევენციის გათვალისწინებით სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა არის სრულიად გამჭვირვალე, რაც დაინტერესებულ აუდიტორიას აძლევს შესაძლებლობას დროის რეალურ რეჟიმში დააკვირდეს გამოცხადებულ ტენდერებს. საგულისხმოა, რომ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა, ისევე როგორც სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობა, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აძლევს შესაძლებლობას, სისტემაში ინტეგრირებული კითხვა-პასუხის მოდულის მეშვეობით დაუსვას შეკითხვა შემსყიდველ ორგანიზაციას სატენდერო დოკუმენტაციის მისთვის ბუნდოვან საკითხებზე, რაზედაც ეს უკანასკნელი ვალდებულია კანონმდებლობით მკაცრად განსაზღვრულ ვადაში გასცეს მკაფიო და კონკრეტული პასუხი. გარდა ამისა, შესყიდვების სისტემა იძლევა შესაძლებლობას, რომ სატენდერო დოკუმენტაცია გასაჩივრებული იქნას როგორც დავების განხილვის საბჭოში, ასევე, კონკურენციის სააგენტოსა და სასამართლოში, ნებისმიერი პირის მიერ, თუნდაც იგი არ მონაწილეობდეს კონკრეტულ ტენდერში. 2019 წელში გასაჩივრებული იქნა ოთხი ტენდერი, მათგან ერთი დაუშვებლად იქნა მიჩნეული (დიმი-პირველი ობჩის გზის რეაბილიტაციაზე), ერთი დაკმაყოფილდა (ადგილობრივი გზების პროექტირებაზე) და ორი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ (წითელხევის გზების რეაბილიტაციაზე).

ზემოთ აღნიშნულ და სხვა სიახლეებზე შესყიდვების სფეროში დასაქმებული სპეციალისტების მეშვეობით ხდება თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში მუნიციპალიტეტს დაქვემდებარებულ იურიდიულ პირებში შესაბამისი სიახლეების გაცნობა და კონსულტაციების გაწევა, შედეგად გარდა ერთეული შენიშვნებისა ამ ორგანიზაციებში რაიმე დარღვევას ადგილი არ ჰქონია. ამასთან მიზანშეწონილად მიგვაჩნია დამკვიდრდეს მუნიციპალიტეტის ბიზნეს სექტორთან შეხვედრების ორგანიზება სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესების შესახებ, რადგან გაუთვითცნობიერებლობის გამო მათი მატერიალური თუ შრომითი რესურსების არსებობის მიუხედავად ვერ ახერხებენ შესყიდვებში მონაწილეობის მიღებას.

ადამიანური რესურსების მართვა

ადამიანური რესურსების მართვის ერთეულისათვის საანგარიშო წელიწადი ფუნქციურად დატვირთული იყო. „პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N220 დადგენილების შესაბამისად შემუშავებული იქნა საჯარო მოხელისა და მის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების პროცედურები. მოხელის შეფასება კანონის ძირითადი მოთხოვნაა, რასაც ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის უშუალო ჩართულობით, დაწესებულების შესაბამისი მოხელეები დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან. შეფასების პროცესის გამჭვირვალებისა და ობიექტურობის მიზნით მიმდინარე წელს დამატებით გადაიზარდა მერიის მენეჯმენტი, სულ 9 პირი, რაც აღნიშნული კუთხით წინგადადგმული ნაბიჯია.

2019 წლის იანვარში თანამდებობის ფუნქციებიდან გამომდინარე, შტატით გათვალისწინებულ თანამდებობებზე ფაქტობრივად დასაქმებულ მოხელეთა უშუალო ჩართულობით, სამუშაო აღწერილობებში განახლდა თანამდებობრივი ფუნქციები და დამტკიცდა კომპეტენციები.

დადგენილი გეგმის შესაბამისად, მერიაში აპრილსა და სექტემბერში ეტაპობრივად ჩატარდა შუალედური შეფასებები, შედეგები დაოქმდა და აღინუსხა ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის მიერ.

საბოლოო შეფასება დეკემბრის თვეში განხორციელდა. შეფასების შედეგების გათვალისწინებით 4 პროფესიულ საჯარო მოხელეს მიენიჭა პირველი კლასი და შესაბამისი შედეგების მქონე მოხელეებს გადაეცათ ფულადი ჯილდო სახელფასო სარგოს 30-40 პროცენტის ფარგლებში.

შეფასების ანალიზის საფუძველზე, მოხელეთა მოთხოვნებისა და ორგანიზაციული საჭიროებიდან გამომდინარე, ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის მიერ შემუშავდა მოხელეთა პროფესიული განვითარებისა და სწავლების საჭიროებათა შესახებ ტრენინგ-პროგრამა. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა სახელმწიფო უწყების ჩართულობითა და დონორი ორგანიზაციის დაფინანსებით შესაძლებელი გახდა მოხელეთა პროფესიული გადამზადება. სწავლებისთვის მიმართული ადგილობრივი საბიუჯეტო სახსრებით კი დაფინანსდა მოხელეთა სწავლებისათვის სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება.

2019 წელს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, გამოცხადდა 6 ღია და ერთი დახურული კონკურსი პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად, მათგან ერთი ღია კონკურსი ჩაიშალა, ერთი კი შეწყდა.

მიმდინარე ეტაპზე მერიაში საშტატო ნუსხით განსაზღვრულ 113 თანამდებობაზე ფაქტობრივად დასაქმებულია 109 მოხელე და გაფორმებულია 13 შრომითი ხელშეკრულება.

გასულ წელს, სახელმწიფო სტაჟირების პროგრამის ფარგლებში, მერიის მიერ ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურში მივიღეთ ერთი სტაჟიორი, რომელმაც ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრული სტაჟირების პროგრამა წარმატებით გაიარა და მიიღო შესაბამისი სერტიფიკატი ჩვენი დაწესებულებიდან.

ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის ერთეული უწყვეტ რეჟიმში მუშაობს eDocument, eHRMS, stajireba.gov.ge და hr.gov.ge ელექტრონულ გვერდებზე, შესრულებულია მოცულობითი სამუშაო, რომელზეც წვდომა, ურთიერთთანამშრომლობის ან მონიტორინგის განხორციელების შემთხვევაში, ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის ყოველთვის ღია და საჯაროა.

იურიდიული განყოფილება

2019 წლის 1 იანვრიდან ბალდათის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული განყოფილების მიერ მომზადებულია სამართლებრივი აქტების ცვლილებებთან პროექტები, როგორც მერიის, ასევე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ხუთ ააიპ ორგანიზაციისათვის.

2019 წლის 18 ოქტომბერს დასრულდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ბალდათის სკოლამდელი საადმინისტრაციო დაწესებულების საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების ლიკვიდაცია (შემოსავლების სამსახურის შეტყობინება N038-1241) ლიკვიდაციის პროცესი უზრუნველყო ბალდათის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული განყოფილების უფროსმა.

იურიდიული განყოფილების მიერ სამართლებრივი დახმარება და კონსულტაცია გაეწია ბალდათის მუნიციპალიტეტის მერის ზედამხედველობის სამსახურს, საზედამხედველო საკითხებზე 4 ადმინისტრაციული სასამართლო დავა მიმდინარებს პირველი ინსტანციის სასამართლოში.

2019 წლის 1 იანვრიდან იურიდიულ განყოფილებას დაეწერა 142 დოკუმენტი, აქედან დავალებათა უმრავლესობა შეეხება შიდა კომისიების შექმნისა და მუშაობის წესების რეგულაციის საკითხებს.

განყოფილება აქტიურადაა ჩართული ბალდათის მუნიციპალიტეტის მერიის ბრძანებით შექმნილ ფიზიკური და კერძო სამართლის იურდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების კომისიის მუშაობაში. კომისიის თავმჯდომარის განკარგულება გასაჩივრებული იქნა 5 (ხუთი) მოქალაქის მიერ, რაზეც მომზადდა ადმინისტრაციული შესაგებელი, დღეის მდგომარეობით საქმის წარმოება მიმდინარეობს ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოში.

იურდიული განყოფილების ჩართულობით ხელშეკრულებები გაუფორმდა ბალდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ და საცხოვრებელი ფართის გარეშე დარჩენილ 23 მოქალაქეს, რომელთა ხელშეკრულებების მოქმედების ვადაა 2019 წლის 31 დეკემბერი.

სამხედრო სამსახური

2019 წლის საშემოდგომო გაწვევის პერიოდში მიმდინარე ეტაპისთვის გაწვეულია:

- შინაგან საქმეთა სამინისტროს გასამხედროებულ ქვედანაყოფში 4-ის ნაცვლად ჩარიცხულია 2 წვევამდელი;
- იუსტიციის სამინისტროს შესაბამის სამსახურში 8-ის ნაცვლად 0 წვევამდელი;
- თავდაცვის სამინისტროს რიგებში ჩარიცხულია გეგმის შესაბამისად 10 წვევამდელი;

იუსტიციის დაქვემდებარებულ ქვედანაყოფში გაწვევა მიმდინარეობს ასევე გეგმის შესაბამისად.

მოგახსენებთ, რომ საქართველოს ქრისტიანულ, ევანგელურ და პროტესტანტული ეკლესიის ბიბლიური თავისუფლების მღვდელმსახურის წოდების მინიჭების მოწმობა წარმოადგინა 30 წვევამდელმა.

სამხედრო სავალდებულო სამსახურის ალტერნატიული სამსახურის გზით გავლის მსურველი არის 2 წვევამდელი.

საზღვარი გადაკვეთილი აქვს 62 წვევამდელს.

სასამართლოს გადაეცა 197' (1) მუხლებით 2 წვევამდელი.

განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური

2019 წლის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ღონისძიებათა პროგრამის ღირებულება განისაზღვრა 45 ათასი ლარით. თითოეულ მიმართულებაზე: კულტურული ღონისძიებების დაფინანსება - 15 ათასი ლარი, სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 15 ათასი ლარი, ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება - 15 ათასი ლარი. წლის განმავლობაში პერმანენტული ხასიათი ჰქონდა სხვადასხვა სახის გასართობ წარმოდგენებს, შემეცნებით აქტივობებს, ახალგაზრდულ შეხვედრებსა და სალონურ ღონისძიებებს. რეგულარული ხასიათი ჰქონდა ვალერიან ქაშაკაშვილის სამუსიკო სკოლაში თემატურ სადამოებს, წითელხევის სახელოვნებო სკოლაში ღირშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, ახალგაზრდული ცენტრის მიერ მრავალფეროვანი წარმოდგენებისა და შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებებს, ვ. მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის ლიტერატურული სალონის შეხვედრებს და აქტივობებს, ჯანსუღ ღვინჯილიას სახელობის ბიბლიოთეკის შემოქმედებით-ლიტერატურულ კონკურსებსა და წიგნების პრეზენტაციებს, რევაზ ლალიძის კულტურის ცენტრის შემოქმედებითი ჯგუფების კონცერტებს და სპორტული სკოლისა და ინოვაციების ცენტრის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა აქტივობებს.

რამდენიმე მათგანზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას:

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მხარდაჭერით მოეწყო, შემოქმედებითი-საგანმანათლებლო პროექტის „ფოტოგამოფენა საგანძურის“ ჩვენება, რომელსაც უამრავი დაინტერესებული პირი და დამთვალიერებელი ეწვია, როგორც საერო ისე სასულიერო წრიდან.

აღსანიშნავია, რომ ბაღდათის კულტურულ ისტორიაში პირველად ჩამოყალიბდა თოჯინების თეატრი და პირველი სპექტაკლის პრემიერაც გაიმართა მარტის თვეში. თეატრმა დიდი მოწონება დაიმსახურა და მაყურებელიც აქტიურად ჰყავდა. „იმერეთის თეატრალური ფესტივალი 2019“, რომელიც ტრადიციულია და მეთედ ჩატარდა. ბაღდათის სახალხო თეატრმა წარადგინა სპექტაკლი ვუდი ალენის „მონა“, რეჟისორი გიგა მიქაძე. ფესტივალი წარმატებული აღმოჩნდა ბაღდათის სახალხო თეატრისათვის: სპექტაკლმა - ქალის ეპიზოდური როლის საუკეთესო შესრულება, საუკეთესო მუსიკალური გაფორმება და ნომინაცია ფესტივალის სიმპათია დაიმსახურა. 2019 წელს შედგა პრემიერა ჟან ანუის სპექტაკლისა „ანტიგონე“. და მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოების მიხედვით შექმნილ სპექტაკლზე „ჩანჩურა“.

საინტერესო ღონისძიებით აღინიშნა რევაზ ლალიძის იუბილე მის მშობლიურ ეზოში, სოფელ ოზჩაში და ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმში მისი დაბადებიდან 126 წლისთავი.

2018 წელს მოხდა ორი ბიბლიოთეკის სოფელ წითელხევისა და სოფელ პირველ ოზჩის ბიბლიოთეკების აღდგენა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ მათი აღჭურვა კომპიუტერული ტექნიკით. პროცესი გაგრძელდა და 2019 წელს კიდევ ერთი სოფლის ბიბლიოთეკა გაიხსნა სოფელ მეორე ოზჩაში.

სალოტბარო სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების მე-5 ეროვნულ კონკურსზე, რომელიც რამდენიმე ტურად მიმდინარეობდა. დასკვნითი ტური ჩატარდა ქ. თბილისში მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში, სადაც ბაღდათის სალოტბარო სკოლამ პირველი ადგილი დაიკავა. მათ გადაეცათ ოქროს მედალი და მიენიჭათ ლაურეატის წოდება.

სამუსიკო სექტორის ვ. ქაშაკაშვილის სახელობის მუსიკალურმა სკოლამ მიმდინარე წელს სხვადასხვა სახის კონკურსში მიიღო მონაწილეობა: ქ. სენაკში ჩატარდა „დასავლეთ საქართველოს ხელოვნების ფესტივალი“, რომელიც პატრიარქის პატრონაჟით ხორციელდება, სადაც სამუსიკო სკოლის აღსაზრდელებს ლაურეატის წოდება მიენიჭათ და სპეციალური პრიზები გადაეცათ. ასევე წარმატებული გამოსვლა აჩვენეს აღსაზრდელებმა და ლაურეატის წოდება მიიღეს საქართველოს ხელოვნების კავშირის მიერ ორგანიზებულ კლასიკური მუსიკის მე-12 ეროვნულ კონკურს-ფესტივალზე „მომავლის ვარსკვლავები“. ჩეხეთის რესპუბლიკაში ჩატარებულ საერთაშორისო ფესტივალზე „სულიკო“, ბაღდათის მუსიკალური სკოლის მევიოლინეთა ანსამბლს „ბაღდათის ზეცის მოციმციმე ვარსკვლავები“ პირველი ხარისხის დიპლომი და ლაურეატის წოდება მიენიჭა.

სპორტული ღონისძიებებიდან გამოვყოფ რამდენიმე მათგანს:

სასკოლო სპორტული ოლიმპიადამ „სპორტი ბარიერების გარეშე“ წარმატებით ჩაიარა. მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლები, აქტიურად იყვნენ ჩართულები, როგორც ადგილობრივ ისე რეგიონულ ტურებში.

ჩატარდა „სამოყვარულო ლიგა-2019, სადაც მუნიციპალურ დონეზე რვა გუნდი მონაწილეობდა, გამარჯვება მოიპოვა გუნდმა „ბაღდათი“, რომელმაც რეგიონულ გათამაშებაში მეორე ადგილი დაიკავა და საქართველოს მასშტაბით რვა საუკეთესო გუნდის შემადგენლობაში მოხვდა.

2019 წელს პირველად ჩატარდა იმერეთის მუნიციპალიტეტების მერია - საკრებულოს თანამშრომლების მონაწილეობით საფეხბურთო ტურნირი „გუბერნატორის თასი“. შეხვედრები საკმაოდ დამაბული და საინტერესო გამოდგა, ბაღდათის მუნიციპალიტეტმა პირველობა არ დათმო და გარდამავალი თასი დაისაკუთრა.

სპორტულმა სკოლამ ორჯერ უმასპინძლა საერთაშორისო ტურნირს, სადაც 800-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა, აპრილის თვეში ჩატარდა თემურ ვაშაყმაძის სახელობის ტურნირი ბერძნულ -რომაულ

ჭიდაობაში, ხოლო ივნისის თვეში ლევან ებანოიძისა და ავთანდილ გურგენიძის სახელობის თავისუფალი ჭიდაობის ტურნირი, სადაც ბალდათელმა მოჭიდავეებმა თავი გამოიჩინეს.

2019 წლის ბოლოს ჩატარდა ბალდათში ჭიდაობის დამფუძნებლის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გიორგი ბოგდანოვისა და ყოფილი სსრკ ჩემპიონის გურამ გობეჯიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი მე-5 რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც 250-მდე სპორტსმენი იღებდა მონაწილეობას.

აქტიურად გამოვეხმაურეთ ოლიმპიზმის საერთაშორისო დღეს, ახალგაზრდების მონაწილეობით ჩატარდა სხვადასხვა აქტივობები. გამარჯვებულებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სიგელები და პრიზები გადაეცათ. ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ოლიმპიური მოძრაობის პოპულარიზაციისა და განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის ბალდათის მუნიციპალიტეტი მადლობის სიგელით დაასაჩუქრა.

„ევროპის სპორტის კვირეული“- ს ფარგლებში სექტემბრის თვეში გაიმართა სხვადასხვა აქტივობები, რომელშიც 200-მდე მოხალისე იყო ჩართული და წარმატებულებს მერია-საკრებულოს სახელით თასები და სიგელები გადაეცათ.

ქ. თბილისში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი ჭადრაკში, 14 წლამდე მოჭადრაკეებში. ჩემპიონი გახდა ბალდათის სპორტული სკოლის აღსაზრდელი ჯაბა ადამია, რომელმა მონაწილეობა მიიღო ევროპის ჩემპიონატში, რომელიც სლოვაკეთის ქალაქ ბრატისლავაში გაიმართა.

2018 წლის სექტემბრის თვეში განხორციელდა გაცვლითი სასწავლო პროგრამა პოლონეთის დამეგობრებულ ქალაქ ლისომიცესთან, ბალდათის საჯარო სკოლებიდან 12 წარჩინებული მოსწავლე 2 პედაგოგთან ერთად იმყოფებოდა პოლონეთში. 2019 წელს ჩვენ ვუმასპინძლეთ დამეგობრებული ქალაქის 13 მოსწავლეს და 2 პედაგოგს, სტუმრებს შევთავაზეთ 1 კვირიანი მეტად საინტერესო და მრავალფეროვანი პროგრამა. გაეცნენ ბალდათის ღირშესანიშნაობებს, მის კულტურულ და ტურისტულ პოტენციალს. მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა შემეცნებით და სპორტულ აქტივობებში.

ახალგაზრდული ინიციატივების წახალისებისა და მხარდაჭერის მიზნით 2019 წელს წარმატებით განხორციელდა საკრებულოს მიერ ინიცირებული „სასკოლო ექსკურსიები“-ს პროექტი, რომელიც გვინდა ტრადიციული გავხადოთ. პროექტის ფარგლებში დაიგეგმა 13 სასკოლო ექსკურსია, მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლის დამამთავრებელი კლასის 300-ზე მეტმა მოსწავლემ მონაწილეობა საქართველოს სხვადასხვა კუთხე, გაეცნო მათ ისტორიას და კულტურას. სასკოლო ექსკურსიების პროგრამა მომდევნო წელსაც გაგრძელდება და ვფიქრობთ ტრადიციული გავხადოთ.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებიდან 2018 წელს, ფონდი „ქართუ“-ს დაფინანსებით დაიწყო მე-9 მე-10 საუკუნის ძეგლის „ბერიეთი“-ს ტაძრის სრული რეაბილიტაცია, რომელიც თითქმის დასრულებულია, რაც შეეხება „სალხინოს“ ეკლესიას, 2019 წელს კულტურული მემკვიდრეობის სააგენტომ რეაბილიტაციის უზრუნველსაყოფად შუამდგომლობით მიმართა საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდს და ვიმედოვნებთ, ფონდი უზრუნველყოფს საპროექტო, სარეაბილიტაციო და არქეოლოგიურ სამუშაოების განხორციელებას.